

## ღვთისმსახურება მოციქულთა დროიდან. საიდუმლონი. დღესასწაულები. ტრადიციები.<sup>1</sup>

გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ საეკლესიო მსახურებასა და ტრადიციებს მოციქულთა ეპოქიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. მივუთითოთ, თუ როდის, რა მიზეზით დამკვიდრდნენ ისინი; რა განსხვავებები არსებობდა აღმოსავლურ და დასავლურ ღვთისმსახურებებს შორის.

ეკლესიამ უცვლელად შემოინახა სამოციქულო ღვთისმსახურების არსებითი ნიშნები, მაგრამ ცნობილია, რომ ყოველ საუკუნეს მასში შეჰქონდა ახალი ლოცვები, საგალობლები თუ ტრადიციები. ამ სიახლეთა ჩართვის მიზეზი იყო ეკლესიის ისტორიის მდინარების თავისებურებანი და სწავლების თანდათანობითი გააზრება. ხან საჭირო ხდებოდა, ყველასთვის გასაგებად განემარტათ სადავო ან ერეტიკოსთაგან გაუკუღმართებული დოგმატი და ჩნდებოდა საგალობელი, სადაც ასახული იყო ეკლესიის სწავლება. ზოგჯერ ახალნაბობები წყალობისთვის უფალს ქებასა და სამადლობელს აღუვლენდნენ, ხანაც კარს მომდგარი ხიფათის ასაშორებლად ევედრებოდნენ უზენაესს. ეკლესიის ისტორია ცოცხალ, ჩვენთვის უძვირფასეს კვალს ტოვებდა საგალობლებსა და ტრადიციებზე. ისინი დიდი ხნის წინ გარდასულ, მაგრამ მნიშვნელობით წარუვალ მოვლენებს წარმოგვიდგენენ; გვევლინებიან აწმყოსა და წარსულის შემაკავშირებელ რგოლებად; მჭევრმეტყველურად მოგვითხრობენ სარწმუნოებაზე, სასოებაზე. ხშირად ხდება, რომ ბევრ ჩვენგანს არ ესმის, ვერ ერკვევა, თუ რას წარმოადგენს საგალობლები და ტრადიციები და საეკლესიო მღვდელმოქმედების მხოლოდ პასიურ მაცურებლად რჩება, ნაცვლად იმისა, რომ მონაწილეობდეს მასში, როგორც ჭეშმარიტი წევრი ეკლესიისა.

ძველი აღთქმის ტაძარში ღვთისმსახურებისთვის დადგენილი იყო მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნი, რაც ჩვენთვის დილის მეშვიდე, მეთორმეტე და შუადღის მესამე საათს შეესაბამება. საეკლესიო დღე იწყებოდა მწუხრიდან, თანახმად სამყაროს შექმნის შესახებ თხრობისა: „და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი“ (შესაქ. 1,5).

მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნზე ოდითგანვე მაღლიერებით იხსენიებდნენ საღვთო მოწყალებას, რაც უფალმა ადამიანებს სამყაროს შექმნის დღიდან უბოძა; ახლა კი ქრისტეს მოწაფეებისთვის ეს დრო

<sup>1</sup> თარგმნა ნინო ბელთაძემ წიგნიდან: А. Н. Бахметева, Рассказы из истории Христианской Церкви. -- М., 1869.

მაცხოვარზე მოგონებებით იკურთხებოდა. ისინი იხსენებდნენ, რომ მესამე ჟამზე მტრებით გარემოცული უფალი იესო პილატეს წინაშე წარდგა; ამავე დროს (აღდგომიდან მეერგასე დღეს) მორწმუნეებზე გარდამოვიდა საღვთო ნიჭთა მომცემელი სულიწმიდა; რომ მეექვსე ჟამზე უფალი ჯვარს აცვეს; მან „ჯვარზე მიაღმსჭვალა ადამის ცოდვა“; მეცხრე ჟამს კი ჯვარცმულმა ქრისტემ გვაუწყა, რომ აღსრულდა კაცთა მოდგმის გამოხსნა. მხოლოდ ერთმანეთთან შეეძლოთ მორწმუნეებს ყველა ამ საზეიმო მოვლენის გახსენება, უფლის მიერ აღსრულებული და მოწაფეთათვის ნაანდერძევი ზიარების საიდუმლოს აღსრულება. ისინი სახლებში იკრიბებოდნენ „განტეხად პურისა“; მაცხოვრის მსგავსად, ხშირად მთელ ღამეს ლოცვაში ატარებდნენ. დღის პირველ ჟამს კი უფლისადმი საგალობლებით ხვდებოდნენ.

მოციქულთა ეპოქის დასასრულამდე დაინგრა იერუსალიმის ტაძარი და გაუქმდა ძველი აღთქმისეული მსხვერპლშეწირვა. ყველაფერი მიუთითებდა, რომ „ძველი წავიდა და ყოველივე განახლდა“. ამ დროისთვის ქრისტიანები საკმაოდ მომრავლდნენ, დადგინდა სამღვდელიო ხარისხები; სულიწმიდით შთაგონებულმა მოციქულებმა შეადგინეს სამღვდელმსახურო განაწესი, ახალი მღვდელმოქმედებანი, ქრისტიანულ საიდუმლოთა აღსრულების წესი.

როგორ სრულდებოდა ღვთისმსახურება მოციქულთა ეპოქაში? – გადმოცემის თანახმად, იგი ხანგრძლივი იყო და შედგებოდა ფსალმუნებისა და წმინდა ჰიმნების გალობის, წმინდა წერილის კითხვისა და განმარტების, ევქარისტის აღსრულების, ლოცვებისა და სამადლობელისგან. რა თქმა უნდა, ახალ ღვთისმსახურებაში შევიდა იერუსალიმის ტაძარში შესრულებული საგალობლებიც, სადაც იხსენიება ადამიანისადმი საღვთო მოწყალება სამყაროს შექმნის დღიდან და ძველი აღთქმის სასწაულები, რომლებშიც ვლინდება უფლის ძალა და სახიერება; ზოგი საგალობელი ეძღვნებოდა აღთქმულ მესიაზე წინასწარმეტყველებასა და გადარჩენის სასოებას. იერუსალიმის ტაძარში ძირითადად შემდეგი ჰიმნები იგალობებოდა: სადიდებელი და სამადლობელი საგალობელი მოსესი მეწამული ზღვის სასწაულებრივად გადალახვის შემდგომ: „უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს!...“ (გამ. 15,1). ეს არის აგრეთვე მამხილებელი საგალობელიც, რადგან გადმოგვცემს, ღვთის ბრძანებით რა ხვედრი უწინასწარმეტყველა მოსემ ებრაელ ერს, თუკი ჭეშმარიტ ღმერთს დაივიწყებდნენ; ანა წინასწარმეტყველის (სამოელის დედის) საგალობელი; ესაია წინასწარმეტყველის საგალობელი, რომელსაც ერთვოდა მისივე წინასწარმეტყველებანი მესიის შესახებ; იონა წინასწარმეტყველის საგალობელი, რომელიც სასწაულებრივად იხსნა

უფალმა; ამბაკუმ წინასწარმეტყველის სავედრებელი; აზარის ლოცვა; სამი ყრმის საგალობელი, რომელიც სახმელში მყოფმა ჭაბუკებმა აღუვლინეს ღმერთს; ზოგჯერ მათ ემატებოდა მეფეების: ეზეკიასა და მანასეს ლოცვები.

ძველი აღთქმისეულ ამ საგალობლებს, რომლებსაც უღრმესი წინასწარმეტყველური მნიშვნელობა ჰქონდათ და საღვთო სახიერებასა და ძალმოსილებაზე ღაღადებდნენ, ქრისტიანული ღვთისმსახურების დროს დაემატა საზეიმო, სადიდებელი ჰიმნები, სადაც გამოხატული იყო მადლიერება ახალი წყალობის გარდამოვლენისა და აღთქმის შესრულებისთვის; პირველი ქრისტიანების ლოცვით შეკრებებზე გაისმოდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი „დიდება სული ჩემი უფალსა...“; ანგელოზთა გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“; სვიმეონ ღვთისმამის საგალობელი: „აწ განუტევე მონად შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებად შენი...“; დიდებისმეტყველება ყოვლადწმიდა სამებისადმი: „დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა...“ სიყვარულით სავსე გულებიდან აღევლინებოდა ლოცვა, რომელიც თავად უფალმა ასწავლა თავის მოწაფეებს – მამაო ჩვენო; მორწმუნეები ღმერთს შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ, რაც მთავრდებოდა საერთო ღაღადით: უფალო შეგვიწყალენ!

ამრიგად, ქრისტიანულმა ღვთისმსახურებამ შეაერთა უფლის მიერ სამყაროს დასაბამიდან მოვლენილი წყალობისა და მის მიერვე ბოძებული გადარჩენის სასოების ხსოვნა თავად გადარჩენასთან დაკავშირებული მოვლენების გახსენებასთან. ღვთისმსახურების განვითარებასთან ერთად, საუკუნეთა განმავლობაში სულ უფრო იკვეთებოდა აზრი – სიმბოლური ქმედებებით გამოეხატათ და საგალობლებში აესახათ წმინდა ისტორიის მთელი მდინარეა და მისი უმთავრესი მოვლენები, როგორებიცაა: სამყაროსა და ადამიანის შექმნა, ადამიანის დაცემა და მისი გადარჩენა ქრისტეს კეთილნებობითი სიკვდილის წყალობით...

ეპისტოლეებსა და წიგნში „საქმე წმიდათა მოციქულთა“ ხშირად გვხვდება ქრისტიანთა ერთობლივი გალობის მაგალითები, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ ბევრი სხვა ისეთი ჰიმნის არსებობა, რომლებიც ყველა მორწმუნისთვის იყო ცნობილი, თუმცა ამ ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

მოციქულის სიტყვებიდან უკვე ვიცით, რომ ღვთისმსახურება გარკვეული წესით მიმდინარეობდა. მოციქულთა მოწაფე, წმინდა კლიმენტი რომაელი წერდა: „ყოველივე, რაც მცნებად დაგვიდო უფალმა,

უნდა სრულდებოდეს წესისამებრ. ნაბრძანებია, გარკვეულ ჟამს შესრულდეს შესაწირი და მსახურება, თანაც არა უწესრიგოდ“. მოციქულთა დროიდან ცნობილია ორი სახის ლიტურგია: წმინდა იაკობისა, რომელიც დიდხანს შემორჩა იერუსალიმში და დღესაც აღესრულება მისი ხსენების დღეს; და წმინდა მარკოზისა, რომელსაც ალექსანდრიაში აღასრულებენ. გარდა ამისა, რომის ეკლესიაში ლიტურგია, სავარაუდოდ, წმინდა კლემენტის მიერ დატოვებული წესით სრულდებოდა, ხოლო მილანის ეკლესიაში – წმინდა ბარნაბას მიერ შედგენილ ლიტურგიას ატარებდნენ. ყველა ისინი არსობრივად ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და ევქარისტისთვის მომზადებისა და წმინდა საიდუმლოს აღსრულების მსახურებათაგან შედგებოდნენ.

ლიტურგიის პირველ ნაწილში გალობდნენ ფსალმუნებსა და წმინდა ჰიმნებს – მათ წინამძღვარი ირჩევდა; კითხულობდნენ წმინდა წერილს, ქადაგებდნენ შეგონებებს. საიდუმლოს აღსრულების მოახლოებასთან ერთად მორწმუნეები იწყებდნენ ლოცვას მთელი მსოფლიოსთვის, ჰმადლობდნენ ღმერთს უდიდეს ქველმოქმედებათათვის. ძღვენის კურთხევისას წარმოითქმებოდა თავად ქრისტეს სიტყვები; ლოცვა სულიწმიდის მოხმობისა, რათა მას თავისი ძალით შეეცვალა პური ქრისტეს ხორცად, და ღვინო – მის სისხლად; და კურთხევა. ნაკურთხი მსხვერპლის წინაშე მართალნი ისევ აღავლენდნენ ლოცვებს ცოცხალი და მიცვალებული თანამოძმეებისთვის, ამბობდნენ საუფლო ლოცვას, რის შემდეგაც ეზიარებოდნენ ჯერ ქრისტეს ხორციით, შემდეგ – სისხლით. ზიარებას მოსდევდა სამადლობელი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ლიტურგიას უწოდებდნენ ყოველგვარ საზოგადო ღვთისმსახურებას. მოგვიანებით ეს სახელი შერჩა წმინდა მსახურების მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის დროსაც აღესრულება ევქარისტია. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სამადლობელს.

როდის სრულდებოდა ლიტურგია? – თავიდან, უფლის სერობის მაგალითით, ძირითადად საღამოობით ტარდებოდა. ლიტურგიას მოსდევდა საერთო ტრაპეზი, რომელსაც ალაპი ანუ სიყვარულის სერობა ერქვა. ყველაფერი, რაც ევქარისტისა და მისი მომდევნო სიყვარულის სერობისთვის იყო საჭირო, მორწმუნეებს მიჰქონდათ. ღვთისმსახურება, კითხვა და შეგონებანი ხშირად გვიან ღამემდე გრძელდებოდა. დევნის დროს, როცა ღამით შეკრებებს კრძალავდნენ, ქრისტიანებმა საზოგადო ლოცვისთვის შეკრება დაიწყეს გარიჟრაჟზე. განსაკუთრებით დაუნდობელი დევნის დროს, როცა ხშირი ლოცვითი შეკრებები საერთოდ შეუძლებელი ხდებოდა, მორწმუნეები უპირატესად იკრიბებოდნენ კვირა დღეს და სამყაროს შექმნასა და ქრისტეს აღდგომას იხსენებდნენ. შეძლებისამებრ, თავს იყრიდნენ შაბათობით,

ოთხშაბათობითა და პარასკევობით – ეს უკანასკნელი ორი დღე ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის დღეებია.

როგორც აღვნიშნეთ, გადარჩენასთან დაკავშირებული მოვლენების გახსენებას გარკვეული დღეები და საათები ეძღვნებოდა. ამიტომაც მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამნი ლოცვის საათებად ითვლებოდა და ისევე, როგორც დღის პირველი ჟამი, ღმერთს ეძღვნებოდა; ქრისტიანები ჰმადლობდნენ უფალს იმისთვის, რომ განვლო ღამემ და დადგა დღე; შესთხოვდნენ, დაელოცა მათი იმდღევანდელი საქმიანობა. ძილის წინ ისევ ლოცულობდნენ. ასე თანდათანობით დადგინდა მწუხრის, ღამისა და ცისკრის მსახურებანი, რომელთაც ხშირად აერთებდნენ. დევნის დროს ქრისტიანები იკრიბებოდნენ როცა შეძლებდნენ და სადაც მოუხდებოდათ, ამიტომაც ლოცვის საათების მკაცრად დაცვას ვერ ახერხებდნენ.

ჩვენ მეტად მწირი ცნობები შემოგვრჩა პირველი საუკუნეების ღვთისმსახურებისა და საიდუმლოთა აღსრულების თავისებურებათა შესახებ. აპოლოგეტები, რომლებიც წერილობით იცავდნენ დევნისა და ცილისწამების მსხვერპლთ, თავს მოვალედ თვლიდნენ, არ გაემხილათ წარმართებისთვის ქრისტიანული ეკლესიის საიდუმლოთა აღსრულების თავისებურებანი, რადგანაც ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში წმინდად იცავდნენ მოციქულთაგან მიღებულ გადმოცემას და მას ყველა კრძალვით უფრთხილდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დევნის შეწყვეტის შემდეგ, როცა ქრისტიანებს მიეცათ ღვთისმსახურებაში ღიად მონაწილეობის უფლება, ისინი მას მოციქულთა გადმოცემის თანახმად აღასრულებდნენ. ფრიად მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს უკვე IV საუკუნიდან ცნობილი საეკლესიო წესებისა და კანონების კოდექსი სახელწოდებით „მოციქულთა განწესებანი“. მაგრამ ჯერ აპოლოგეტთა მიერ ნაუწყებ რამდენიმე ცნობაზე შევჩერდებით.

წმინდა იუსტინე მოწამე (II ს.) ასე აღწერს ქრისტიანთა საკვირაო შეკრებებს: „ეგრეთ წოდებულ მზის დღეს (კვირა დღეს – მთარგმნ. შენ.) ჩვენ ყველანი, ქალაქად და სოფლად მცხოვრებნი, ერთ ადგილას ვიკრიბებით; და რამდენის საშუალებასაც დრო მოგვცემს, იკითხება მოციქულთა სწავლებები და წინასწარმეტყველთა წიგნები. შემდეგ, როდესაც მკითხველი კითხვას დაასრულებს, წინამძღვარი წარმოთქვამს დარიგებას – მოგვიწოდებს იმ მშვენიერი მაგალითების მიბადვისკენ (იგულისხმება წმიდა წერილში ამოკითხული მაგალითები – მთარგმნ. შენ.). ამის შემდეგ ყველანი ფეხზე ვდგებით და ლოცვას აღვაავლენთ. როდესაც ლოცვა დასრულდება, მაშინ, როგორც გითხარით, მოიტანენ პურს, ღვინოსა და წყალს, და წინამძღვარი აგრეთვე აღავლენს ლოცვებსა და სამადლობელს, რამდენსაც შეძლებს. ხალხი თავის თანხმობას

გამოხატავს სიტყვით „ამინ“, და ხდება ყველასთვის დარიგება და ზიარება ძღვენისა, რომელზედაც აღსრულდა სამადლობელი, ხოლო მათ, ვინც იქ ვერ დაესწრო, ეგზავნებათ (ძღვენი) დიაკვნის საშუალებით. ვისაც აქვს საშუალება და სურვილი, თავისი ნებით გაიღებენ რაც სურთ, და შეკრებილი ინახება წინამძღვართან. მას ეხება ზრუნვა ქვრივობლებზე, ყველაზე, ვინც დახმარებას საჭიროებს, სნეულებისა თუ სხვა მიზეზის გამო, პატიმრებზე, შორიდან მოსულ მწირებზე, საერთოდ ყველაზე ზრუნავს, ვისაც უჭირს“. „...გვასწავლეს და გვწამს, რომ ეს საზრდო, რომელზედაც წარმოთქმულ იქნა სამადლობელი ღმერთისიტყვის ლოცვით (იგულისხმება საიდუმლო სერობისას წარმოთქმული მაცხოვრის სიტყვები – მთარგ. შენ), მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სისხლისა და ხორცის საკვებად იქცევა, არის განხორციელებული იესო ქრისტეს სისხლი და ხორცი“.

ტერტულიანე, რომელმაც გაცილებით გვიან აღწერა ლოცვითი შეკრება და თანამდევნი აღაპე, ანუ სიყვარულის სერობა, წერს: „სერობა იწყება ღვთისადმი ლოცვით; შემდეგ იღებენ საზრდელს და არც იმას ივიწყებენ, რომ ღამით ლოცვას უნდა დაესწრონ; საუბრობენ, მაგრამ იციან, რომ უფალს ყველაფერი ესმის. როდესაც ხელს დაიბანენ და სანთლებს აანთებენ, თითოეულს სთავაზობენ, წინ გამოვიდეს და ღვთის სადიდებლად რაიმე იგალობოს წმინდა წერილიდან, ან რასაც თავად შეძლებს. დასასრულს ისევ ლოცულობენ, ამით მთავრდება სერობა და იშლებიან“.

სიყვარულის სერობისთვის სურსათი მორწმუნეებს მიჰქონდათ და ერთად მიირთმევდნენ. მაგრამ წარმართებმა არაერთხელ სცადეს, ეს მოკრძალებული ტრაპეზი აღვირახსნილ ღრეობად წარმოეჩინათ, სადაც თითქოს ქრისტიანები გარყვნილებას ეძლეოდნენ და თავიანთ მიერ მოკლული ჩვილის სისხლს სვამდნენ და ხორცს ჭამდნენ. მაშინ ქრისტიანების ნაწილმა გადაწყვიტა ამ სერობების გაუქმება, როგორც ღვთისმსახურებისთვის არააუცილებელი დანართისა. უკვე III საუკუნეში სიყვარულის სერობები მხოლოდ მარტვილთა ხსენების დღეებში ეწყობოდა, რომელთაც მარადიული ცხოვრების იმედით აღსრულებულთა დაბადების დღეებსაც უწოდებდნენ. ქრისტიანები იკრიბებოდნენ მოწამის საფლავზე, აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას, იკითხებოდა ამბავი გარდაცვლილი მოძმის დიდებული აღსასრულის შესახებ და ყველა მორწმუნე ჰმადლობდა უფალს, რომელმაც ამ ადამიანს მისცა ძალა, ეტვირთა ასეთი ღვაწლი, და შესთხოვდნენ, მათთვისაც არ მოეკლო ზეგარდმო შემწეობა. რაოდენ მხურვალე და წრფელი უნდა ყოფილიყო ეს ლოცვა დევნის საშინელ დროში! მოწამენი ხომ რწმენის ძალით იმარჯვებდნენ ამა სოფლის მტრულ ძალებზე და იხოცებოდნენ

სიხარულით, როგორც ქრისტეს მოზეიმე მეომარნი. ლოცვის შემდგომ ყველა ერთად იღებდა საზრდოს და იხსენებდა გარდაცვლილს. ქრისტიანთა შორის თანდათან ტრადიციად იქცა მიცვალებულ ახლობელთა და ნათესავთა ამგვარად მოხსენიება, აგრეთვე, მათ სახელზე მოწყალების გაღება გაჭირვებულთათვის. აი, საიდან დაიწყო ჩვენში დღევანდლამდე შემონახული ეს ტრადიცია.

მორწმუნეებს ლოცვით შეკრებებზე მიჰქონდათ ლიტურგიისთვის საჭირო პურის, ღვინო, ზეთი და სანთლები. – ეს იყო ღვთისთვის შესაწირი. მორწმუნეებს ეს ძღვენი მიჰქონდათ საიდუმლოში თავიანთი მონაწილეობისა და მოძმეებთან ერთობის ნიშნად. რამეთუ სასულიერო დასის მიერ ძღვენის მიღება შემწირველის საეკლესიო ერთობის წევრად აღიარებასაც ნიშნავდა. ურწმუნოთა, კათაკმეველთა (ანუ ვინც ჯერ არ იყვნენ მისი წევრები), მძიმედ შემცოდეთა და ამ მიზეზით დროებით განკვეთილთაგან ეკლესია შესაწირს არ იღებდა.

ეკლესია თავისი სიყვარულით აერთიანებს ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც და ყველასთვის ევედრება ცხოვრებისა და უკვდავების მომნიჭებელ უფალს. საზოგადო ღვთისმსახურებაში საკუთარი შესაწირით მონაწილეობის უფლება ძალიან ძვირფასი იყო ეკლესიის თითოეული წევრისთვის, ამიტომაც მრევლს ძღვენი ძალდაუტანებლად, სიხარულით მიჰქონდა. შემწირველთათვის საერთო ლოცვის წარმოთქმის დროს დიაკონი აცხადებდა მათ სახელებსაც, რაც შეჰქონდათ ე.წ. დიპტიქონში. ეს იყო ორი მოსახსენიებელი ფირფიტა – დაფა. ერთზე იწერებოდა ეკლესიის ცოცხალ წევრთა სახელები, მეორეზე – გარდაცვლილთა. დიპტიქონში აგრეთვე შეჰქონდათ შორეული ქალაქებისა და ოლქების იმ ეპისკოპოსთა სახელები, რომლებიც პატივისცემით სარგებლობდნენ, და ვისთანაც ადგილობრივი ეკლესიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა. დიპტიქონიდან ვინმეს სახელის ამოშლა ნიშნავდა მასთან ურთიერთობის გაწყვეტას. როდესაც დიაკონი აცხადებდა დიპტიქონში ჩაწერილი ქრისტიანების სახელებს და ლოცულობდა მათთვის, იქ მყოფნი პასუხობდნენ: ყოველთა და ყოვლისათვის (მოგვიანებით ამას სასულიერო დასი წარმოთქვამდა).

მორწმუნეთა მიერ მიტანილი ძღვენი თანდათანობით ფულადი შესაწირით შეიცვალა, რაც ეკლესიის, მისი მსახურების და ეკლესიას მიკედლებული ღარიბების შესანახავად იხარჯებოდა. სიყვარული აერთიანებდა ქრისტიანებს და ისინიც, როგორც ქრისტეს ჭემმარტი მოწაფეები, დაუყოვნებლივ ეხმარებოდნენ მოძმეებს, რომელთაც უბედურება დაატყდათ თავს (მაგალითად, შიმშილობა, ტყვეობა და ა.შ.). შესაწირავის შეგროვება ძირითადად ხდებოდა კვირას ანუ უქმე დღეს (ამას უკვე პავლე მოციქული ახსენებს) და მას წინამძღვარს

გადასცემდნენ. აქედან მოდის საეკლესიო შესაწირის შეგროვების ტრადიცია.

პირველ ხანებში მორწმუნეები ყოველ ლიტურგიაზე ეზიარებოდა წმინდა საიდუმლოს; ამით ისინი ღმერთთან ერთობის უდიდეს ნეტარებას განიცდიდნენ. მოგვიანებით, როდესაც ქრისტიანობა გავრცელდა და კრებულს შეემატნენ გულგრილი, ყოფითს საზრუნავს გადაგებული ადამიანები, მორწმუნეები უფრო იშვიათად ეზიარებოდნენ. ასევე ტრადიციად დამკვიდრდა ლიტურგიის ბოლოს დამსწრეთათვის დაერიგებინათ საიდუმლოს აღსრულებისთვის გამოყენებული სეფისკვერებიდან დარჩენილი ნაწილები, რასაც ანტიდორი ეწოდა, რაც ნიშნავს „ძღვენის სანაცვლოს“. ამ ქმედებით ერთგვარად სიყვარულის სერობის გახსენება ხდებოდა.

II საუკუნეში წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილმა ანტიოქიის ეკლესიაში შემოიღო ანტიფონები. ეს არის ძირითადად ფსალმუნების ან წინასწარმეტყველთა წიგნებიდან ალებულ მუხლებზე შექმნილი სასულიერო ჰიმნების ორი გუნდის მიერ რიგრიგობით გალობა. მალე ეს ტრადიცია თითქმის მთელი აღმოსავლეთისთვის საერთო გახდა, თუმცა საგალობლები ყველგან ერთნაირი არ ყოფილა.

ეკლესიაში დღესაც სრულდება ერთ-ერთი უძველესი ჰიმნი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. გიგალობთ შენ, გაკურთხებთ შენ, თაყვანის-გცემთ შენ, დიდების-გმეტყველებთ შენ და გმადლობთ შენ, დიდისა დიდებისა შენისათვის; უფალო და მეუფეო ზეცათაო, ღმერთო, მამაო ყოვლისა მპყრობელო, უფალო ძეო, მხოლოდშობილო იესო ქრისტე და წმიდაო სულო, უფალო ღმერთო, კრავო ღვთისაო და ძეო მამისაო, ამღებელო ცოდვათა სოფლისათაო, მიწყალენ ჩვენ; რომელმან აღიხუენ ცოდვანი სოფლისანი, მიითვალე ვედრება ჩვენი; მჯდომარეო მარჯვენით მამისათაო, შეგვიწყალენ ჩვენ. რამეთუ შენ მხოლო ხარ წმიდა, შენ მხოლო უფალი, იესო ქრისტე, სადიდებლად ღვთისა მამისა, ამინ!“ ეს საგალობელი მოციქულთა ეპოქის შემდგომ მალევე გავრცელდა. III საუკუნეში მრავალი სასულიერო ჰიმნი დაწერეს კლიმენტი ალექსანდრიელმა და პენტაკოლისის ეპისკოპოსმა ნეპოტმა.

თავისი შინაგანი, ცოცხალი ერთიანობით ძლიერი სამოციქულო ეკლესია არ ითხოვდა ღვთისმსახურების ზედმიწევნით ერთნაირად აღსრულებას ყველგან. ზოგიერთმა ეკლესიამ შეინარჩუნა სიყვარულის სერობა, როდესაც სხვებმა უარი თქვეს მასზე. საკითხავების შერჩევას ტაძრის წინამძღვარს ანდობდნენ. ეკლესიათა ნაწილში მლოცველნი გალობდნენ, ზოგში – მხოლოდ კლიროსი. ტერტულიანეს ცნობით, იყო შემთხვევები, როდესაც ლოცვითი შეკრების ზოგიერთი მონაწილე



გალობდა იმას, რასაც იმწამიერად უკარნახებდა შთაგონება. ასეთ თავისუფლებას ერეტიკოსები ბოროტად იყენებდნენ და სასულიერო ჰიმნების საშუალებით თავიანთ მრუდე აზრებს ავრცელებდნენ. ასე შეთხზეს მათ მრავალი საგალობელი და ლოცვით შეკრებებში მათი ჩართვაც სცადეს.

ეკლესიის მამები იძულებულნი გახდნენ, უფრო მკაცრად შეემოწმებინათ, თუ როგორ სრულდებოდა ღვთისმსახურება. III საუკუნეში გრიგოლი ნეოკესარიელმა თავის სამწყსოს დაუდგინა ლიტურგიის წესი. ნეოკესარიელები იმდენად დიდ პატივს სცემდნენ უდიდესი სასწაულთმოქმედის ხსოვნას, რომ სხვის მიერ შედგენილს დიდხანს არაფერს იკარებდნენ – „არც მღვდელმოქმედებს, არც სიტყვას, არც რომელიმე საიდუმლო წესს“, – წერდა მოგვიანებით ბასილი დიდი.

IV საუკუნეში, როდესაც არიოზისა და სხვა ერეტიკოსთა ცრუსწავლებებმა თავგზა აუბნია მრავალ ქრისტიანს, ეკლესიის მამანი და წინამძღვარნი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს და ზრუნავდნენ, რათა ღვთისმსახურებათა წესი ზუსტად და მკაცრად ყოფილიყო განსაზღვრული. ლაოდიკიის კრებამ 368 წელს რამდენიმე დადგენილება მიიღო ამ საკითხზე, ამასთან განაჩინა, რომ ეკლესიაში მხოლოდ კლიროსს უნდა ეგალობა.

ამავე საუკუნეში ბასილი დიდმა წერილობით გადმოსცა ლიტურგიის წესი, რომლითაც რამდენამდე შეამოკლა მანამდე საყოველთაოდ მიღებული მსახურება, ისე, რომ მისი ადრინდელი სახე არ შეუცვლია. ამას ადასტურებს „მოციქულთა განწესებებში“ შემონახული ცნობები ძველი ლიტურგიის შესახებ და ბასილი დიდის თანამედროვის, კირილე იერუსალიმელის მიერ აღწერილი ძველი იერუსალიმის ლიტურგია. იგი თავის „განსასწავლ დარიგებებში“ გადმოგვცემს ლიტურგიისა და საიდუმლოთა შესრულების ზოგიერთ წესსაც.

ლიტურგიაში მაშინაც, როგორც ახლა, შედიოდა: პროსკომიდია (კვეთა) – როდესაც ხდებოდა წმინდა ძღვენის მომზადება; კათაკმეველთა ლიტურგია, რომელსაც ესწრებოდნენ მოსანათლავად მომზადებულებიც, და მართალთა ლიტურგია, რომელშიც მხოლოდ ნათელღებულნი მონაწილეობდნენ. დიაკონის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე: „კათაკმეველნო, განვედით!“, კათაკმეველები ტაძრიდან გადიოდნენ, ხოლო მართალნი განსაკუთრებული გულისყურითა და კრძალვით ელოდნენ ლიტურგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამ დროს მღვდელმსახურთაგან წარმოთქმული ყველა ლოცვა და ქმედება იუწყებოდა საიდუმლოს აღსრულების მოახლოებას. მორწმუნეები

ემზადებოდნენ უფლის ტრაპეზთან მისასვლელად და საუფლო ლოცვის წარმოსათქმელად, რომლის დროსაც ღმერთს საკუთარ მამად მოიხსენიებდნენ. მანამდე კი მღვდელმსახური მათ შეახსენებდა უდიდეს მცნებას, რომელიც ქრისტემ მოწაფეებს მისცა: „ვიყვარებოდეთ ურთიერთთარს, რაფთა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

ამ სიტყვების მოსმენისთანავე ყველა ერთმანეთს ეამბორებოდა ნიშნად იმისა, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ ერთი, ჭეშმარიტი ღმერთის აღიარება, ვისაც ძმური, ქრისტიანული სიყვარული აერთიანებს. დიაკონის მოხმობაზე: „კარნი, კარნი!“ დამსწრენი განსაკუთრებით აკვირდებოდნენ, რომ მორწმუნეთა კრებულში არ გარეულიყო უცხო ადამიანი. ეს სიტყვები ქრისტიანებს გამუდმებით შეახსენებს, რომ მსახურებაზე დგომისას მათ მართებთ განსაკუთრებული ყურადღება, რათა განიშორონ ყოველგვარი გარე და ფუჭი აზრი. აი, როგორ გადმოსცემს და განმარტავს კირილე იერუსალიმელი (IV ს.), რაც ამის შემდგომ ხდება ტაძარში:

“მღვდელი წარმოთქვამს: „ზე გვაქუნდინ გულნი“; რამეთუ ამ საშინელ ჟამს ადამიანის გული ღმერთისკენ უნდა მისწრაფოდეს და არ იყოს მიჯაჭვული მიწასა და მიწიერზე. ამიტომაც უბრძანებს მღვდელი ყველას, ამ დროს მიატოვონ ყოფითი საზრუნავი, შინაური საქმენი და გული მიმართონ ზეცისკენ, კაცთმოყვარე ღმერთისკენ. შემდგომ ამ მოწოდების პასუხია: „გვაქუს უფლისა მიმართ“ და ამ აღიარებით ვეთანხმებით სამღვდელო მოწოდებას. ნურავინ იქნება წარდგომილთაგან, რომ ბაგეებით ამბობდეს: „გვაქუს უფლისა მიმართ“, ხოლო გონებით მიწიერ საზრუნავს იყოს მიჯაჭვული.

მღვდელი განაგრძობს: „ვმადლობდეთ უფალსა“, რამეთუ გულით უნდა ვმადლობდეთ უფალს, რადგანაც ჩვენ, მისი მტრები, თავისთან შეგვარიგა და ღირს-გვყო შვილებად წოდებისა. ამ ხმას თქვენ უპასუხეთ: „ღირს არს და მართალ“, რამეთუ მადლობის აღვლენით ჩვენ ღირსეულად და მართლად ვიქცევით.

შემდგომ მღვდელი იხსენიებს ყოველ ქმნილებას, ხილულს და უხილავს: ანგელოზებს, მთავარანგელოზებს, უზენაესის საყდრის წინაშე წარდგომილ ძალებს, რომლებიც ღაღადებენ: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ!

მას მერე, რაც სასულიერო საგალობლებით განვიწმინდებით, ვევედრებით კაცთმოყვარე ღმერთს, რათა გარდამოავლინოს სულიწმიდა წინადაგებულ ძღვენზე და გარდააქციოს პური ქრისტეს ხორცად, ხოლო ღვინო – ქრისტეს სისხლად. რამეთუ ის, რასაც შეეხება სული (სული წმიდა), უექველად განიწმინდება და გარდაიქცევა.

სულიერი მსხვერპლის, უსისხლო მსახურების აღსრულების შემდგომ – ამ მოწყალეზად აღმძვრელ მსხვერპლთან ვევედრებით ღმერთს ეკლესიის მშვიდობისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მეფეთა, მხედრობათა, თანამოღვაწეთა, უძღურებასა შინა მყოფთა და მუშაკთათვის, ერთი სიტყვით, ყველასთვის, ვისაც შემწეობა სჭირდება. ვლოცულობთ ჩვენ ყველა და ვწირავთ ამ მსხვერპლს.

შემდგომ ვიხსენიებთ პირველგარდაცვალებულებს – ჯერ პატრიარქებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, რათა ღმერთმა, მათი ლოცვებითა და მეოხებით, შეისმინოს ჩვენი ვედრება; ამას მოსდევს პირველგარდაცვალებულ წმინდა მამათა, ეპისკოპოსთა და საერთოდ ყველა ჩვენგან პირველადსრულებულთა მოხსენიება. გვწამს, რომ უდიდეს სარგებელს ჰპოვებენ სულნი, რომელთათვისაც ვლოცულობთ წმინდა და საშინელი მსხვერპლის შეწირვის დროს.

დასრულებისთანავე ვკითხულობთ ლოცვას, რომელიც მაცხოვარმა დაუტოვა მოწაფეებს, სუფთა სინდისით ვუწოდებთ ზეციურ ღმერთს მამას და წარმოვთქვამთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

ამის მერე მღვდელი ამბობს: „წმიდა წმიდათა“. ანუ წმინდა არს წინადაგებული ძღვენი, რომელზეც გარდამოვიდა სულიწმიდა; წმინდა ხართ თქვენც, რამეთუ ღირს-იქმენით სულისა წმიდისა.

ამაზე თქვენ ამბობთ: „ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესუ ქრისტე“. ჭეშმარიტად ერთია ის, ვინც ბუნებითად არის წმინდა; წმინდანი ვართ ჩვენც, მაგრამ არა ბუნებითად, არამედ ზიარებით, ღვაწლითა და ლოცვით.

გაისმის მგალობლის ხმა, რომელიც საღვთო ჰიმნით გიხმობთ წმინდა საიდუმლოსთან საზიარებლად: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“.

შემდგომ ამისა მიეახლე და ეზიარე ჯერ ქრისტეს ხორცს, მერე – მის სისხლს. ბოლოს, დაელოდე ლოცვას და ღმერთს მადლობა შესწირე, რადგანაც ღირს-გყო ამგვარ საიდუმლოში მონაწილეობისა“.

აღწერს რა ევექარისტიის აღსრულების წესს, წმინდა კირილე აღნიშნავს, რომ ეს არის ტრადიცია, რაც ძველთაგანვე მოდის და მორწმუნეებს მოუწოდებს, დაუმახინჯებლად დაიცვან იგი. ეს ლიტურგია არც ბასილი დიდს შეუცვლია, მხოლოდ რამდენიმე ახალი ლოცვა ჩართო მასში.

იტალიაში მოციქულთა მოწაფეების მიერ დადგენილი ლიტურგიის წესი (გადმოცემის თანახმად, რომში იგი შემოიღო წმინდა კლიმენტიმ, ხოლო მილანში – წმინდა ბარნაბამ) ძალიან ჰგავდა აღმოსავლურს. შემდგომ მასში ბევრი რამ შეიცვალა, სახელდობრ, ადრევე დაიკარგა მსახურების გაყოფა კათაკმეველთა და მართალთა ლიტურგიებად.

აღმოსავლეთში ეკლესიის მამები ღვთისმსახურების წესის დაზუსტებასთან ერთად ცდილობდნენ თავიანთი სამწყსოს დაცვას ერეტიკულ სწავლებათაგან; იგივე ხდებოდა დასავლეთშიც. მილანში მოღვაწე მღვდელთმთავარმა ამბროსი მედიოლანელმა ღვთისმსახურებას მეტი სადღესასწაულო ხასიათი შესძინა. მანვე განსაზღვრა წმინდა წერილის მიხედვით შედგენილი საგალობლების თანმიმდევრობა და აღმოსავლეთიდან გადაიღო ანტიფონური გალობა. ამბროსის ბრძოლამ არიანელთა წინააღმდეგ წარუშლელი კვალი დატოვა მილანის ეკლესიის საღვთისმსახურო ტიპიკონზე. როდესაც დედოფლის მფარველობით გულმოცემული არიანელები თავიანთი ცრუ შეხედულებების დამკვიდრებასა და მილანის ტაძრების დაპატრონებას ლამობდნენ, ამბროსი ხალხს შეგონებებითა და საგალობლებით განსწავლიდა.

ამ მაღალპოეტური ჰიმნების უდიდესი ნაწილი წმინდა ამბროსის ეკუთვნის და მათში ასახულია დოგმატური სწავლება ყოვლადწმიდა სამების შესახებ. არიანელებზე გამარჯვების შემდგომ მან დაწერა საზეიმო სამადლობელი ჰიმნი, რომელიც ნაწილობრივ გადაიღო გრიგოლ ღვთისმეტყველის ღვთისადმი საგალობლიდან: „შენ ღმერთსა გაქებთ, შენ უფალსა აღვიარებთ“.

შემდგომ საუკუნეებში რომის ეპისკოპოსებმა, განსაკუთრებით პაპებმა: გელასიმ, ლეონ დიდმა და გრიგოლ დიოლოლოსმა, ბევრი რამ შეცვალეს ლიტურგიაში; ამ სიახლეთა შეტანას მილანის ეკლესიაშიც შეეცადნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისი უდიდესი მღვდელთმთავრისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად დიდხანს იცავდა მის მიერ შემოღებულ ტიპიკონს. დღევანდლამდე არსებობს სხვაობა მილანისა და რომის ეკლესიების ღვთისმსახურებათა შორის.

გალიაში II საუკუნეში სარწმუნოება იქადაგეს პოლიკარპე სმირნელის მოწაფეებმა; მათვე დაადგინეს ლიტურგიის აღმოსავლური წესი, რასაც ერთგულად იცავდნენ ლიონში. მხოლოდ VII საუკუნეში შეძლო რომის ეკლესიამ აქედან ბერძნული ტრადიციების გამოდევნა. დიდხანს ძალიან ჰგავდა აღმოსავლურ ლიტურგიას ესპანური მსახურებაც.

მოციქულთა ლიტურგია მეტად ხანგრძლივი იყო. ღვთისადმი მხურვალე რწმენა და სიყვარული, ცხადია, პირველ ქრისტიანებს უღვიძებდა სურვილს, საკუთარი დროის უდიდესი ნაწილი ღმერთისთვის მიეძღვნათ და ლოცვებში ეპოვათ უმაღლესი ნუგეში. მაგრამ მოშურნეობამ თანდათან იკლო და ბევრს აღარ მოსწონდა მსახურება, რომელიც დიდ დროს მოითხოვდა. მაშინ ბასილი დიდმა საჭიროდ ჩათვალა, რამდენადმე შეემოკლებინა იგი.

საერთოდ ამ ლიტურგიაში დიდი დრო ეთმობოდა ძველი აღთქმიდან საკითხავებს, რაც პირველ კვერექს მოსდევდა, და სწავლებას, რომელსაც წარმოთქვამდნენ სახარების კითხვის დასრულებისთანავე, კათაკმეველთა ტაძრიდან გასვლამდე. კონსტანტინოპოლის უდიდეს მღვდელთმთავარს, იოანე ოქროპირს დიდად აწუხებდა ქრისტიანთა გულგრილი დამოკიდებულება ლოცვისადმი. იგი ხშირად მოუწოდებდა მსმენელებს წმინდა წერილის კითხვისა და გულისყურით შესწავლისკენ, ღვთისმსახურებაში მონაწილეობისაკენ.

„ყურადღება მივაპყროთ კითხვას არა მხოლოდ ამ ორი საათის განმავლობაში. მდინარის პირას ამოსული ხე დღედაღამ წყალშია და არა ორი-სამი საათით. ამიტომაც იმოსება იგი ფოთლებით და უხვად ისხამს ნაყოფს“ – მოძღვრავდა მღვდელთმთავარი ერს. ბევრი უკვე მაშინაც მიიჩნევდა, რომ ხანგრძლივი ლოცვები სჭირდებოდათ მხოლოდ მონაზვნებს და მათ, ვინც თავისი ცხოვრება მთლიანად ღმერთს მიუძღვნეს. ასეთებს იოანე ოქროპირი უმტკიცებდა, რომ სამოქალაქო საქმეებით დაკავებული პირები ხშირად უნდა მიმართავდნენ ღვთის სიტყვის შესწავლასა და ლოცვებს ძალთა მოსაკრებად. რაკი ხედავდა, რომ საკითხავებს ნაკლებად უსმენდნენ და არ მოსწონდათ ლიტურგიის ხანგრძლივობა, დიდმა მღვდელთმთავარმა ანგარიში გაუწია ქრისტიანთა უძლურებას და გადაწყვიტა ბასილი დიდის ლიტურგიის წესის შემოკლება.

არ არის აუცილებელი იოანე ოქროპირის ლიტურგიის წესის აღწერა, რადგან იგი ჩვენს ეკლესიაში მთელი წლის განმავლობაში აღესრულება, გარდა იმ ათი დღისა, რომლებიც ბასილი დიდის ლიტურგიას ეთმობა, და დიდმარხვის იმ დღეებისა, როდესაც პირველშეწირულის ლიტურგია ტარდება. ამჯერად ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რაც უკვე მოგვიანებით შევიდა იოანე ოქროპირის სახელით ცნობილ ლიტურგიაში.

პირველი დამატება პატრიარქ პროკლეს უკავშირდება, როდესაც სასწაულებრივი მოვლენის შემდეგ (ჩვენ მის შესახებ უკვე გიამბეთ) ღვთისმსახურებაში ჩართეს „სამწმიდაოს“ გალობა: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ“.

იოანე ოქროპირის დროს ლიტურგიაზე სარწმუნოების სიმბოლოს ყოველთვის არ წარმოთქვამდნენ. მას მაშინ კითხულობდნენ, როდესაც კათაკმეველებს ამზადებდნენ ნათლისღებისთვის. არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ანტიოქიის ეკლესიაში სარწმუნოების სიმბოლოს ყოველ ლიტურგიაზე წარმოთქვამდნენ. როდესაც ერესები მომრავლდა, ეკლესიის მამებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ წმინდა საიდუმლოთა

ზიარების წინ მთელი მრევლის სახელით წარმოთქმულიყო მართალი სარწმუნოების აღიარება. ეს ტრადიცია შემოვიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ტიმოთეს დროს, 510-517 წლებში. ზოგიერთ ტაძარში სიმბოლოს გალობდნენ, ზოგან – კითხულობდნენ. ამ ტრადიციამ აღმოსავლეთიდან რომშიც შეაღწია. VI საუკუნის დასასრულს, როდესაც ესპანეთში არიანელობა დაამხეს, ტოლედოს კრებამ დააწესა ადგილობრივ ტაძრებში სარწმუნოების სიმბოლოს წაკითხვა, ოღონდ შეცვლილი სახით. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა მოჰყვა ამას.

VI საუკუნეში ეკლესიაში დიდი მღელვარება გამოიწვიეს ერეტიკოსებმა, რომელთაგან ზოგი ძე ღმერთის ღვთაებრივ ბუნებას უარყოფდა, სხვები – მის კაცობრივ ბუნებას. მაშინ იმპერატორმა იუსტინიანემ დაწერა ლოცვა, რომელიც იესო ქრისტეს აღიარებდა სრულ ღმერთად და სრულ კაცად. ეს ლოცვა მაშინვე, 536 წელს, დაემატა ლიტურგიას: „მხოლოდმობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, უკვდავი არსება! თავს-იდვა ჩვენისა ცხოვრებისათვის: ხორციანი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნა; და ჯვარს ეცვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა; და ერთი წმიდისა სამებისად, თანადიდებულ არს მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა, გვაცხოვნენ ჩვენ“.

იმ დროს, როდესაც მღვდელმსახურებს შესაწირავი უნდა გადაეხვეწებინათ ტრაპეზზე, მართალთა კვერექის შემდგომ მსახურება დროებით წყდებოდა და ხალხიც ლაპარაკს იწყებდა. ამის აღსაკვეთად პატრიარქმა იოანე სქოლასტიკოსმა (იუსტინე უმცროსის დროს, 573 წელს) დაადგინა: ამ შუალედში კლიროსს ეგალობა საგალობელი, რომელიც მორწმუნეებს განაწყობდა მოახლოებულ უდიდეს საიდუმლოში მონაწილეობისთვის. მაშინ ჩართეს ლიტურგიის ტიპიკონში „რომელი ქერუბიმთა“, რაც დიდ ხუთშაბათს იცვლებოდა საგალობელით: „სერობასა საიდუმლოდსა შენისასა“. ამ ორი ჰიმნის ავტორად პატრიარქ იოანე სქოლასტიკოსს ვარაუდობენ. თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ მეორე ეკუთვნის იოანე ოქროპირს. დიდ შაბათს იგალობებოდა: „სდუმენინ ყოველნი ხორცი კაცობრივი და სდეგინ შიშით და კრძალულებით“...

VII საუკუნეში, პატრიარქ სერგის დროს, ლიტურგიას შეემატა ჰიმნი: „აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა, უფალო“...

VII საუკუნეში იოანე დამასკელთან ერთად აღზრდილმა კოსმა მაიუმელმა დაწერა ღვთისმშობლის სადიდებელი ჰიმნი: „უპათიოსნესსა ქერუბიმთასა“ და ლიტურგიაზე მისი გალობა მაშინვე დამკვიდრდა. გადმოცემის თანახმად, კოსმამ იგი დიდ პარასკევს – ღვთისმშობლისთვის უმძიმეს დღეს შექმნა; და სიხარულით აღივსო

გული მისი, როცა დედა ღვთისა გამოეცხადა და კეთილად მიიღო მისგან სიყვარულისა და კრძალვის ამგვარი გამოვლინება. გადმოცემის თანახმად, ჰიმნის თავდაპირველი ვარიანტი კოსმას ეკუთვნის, მაგრამ მოგვიანებით, უკვე X საუკუნეში იგი შეავსო ანგელოზმა, რომელიც ერთ ათონელ მოღვაწეს გამოეცხადა და აუწყა გალობის დასაწყისი: „ღირს არს...“

ტროპარები, რომლებიც მცირე შესვლის წინ იგალობება, ეკუთვნით იოანე ოქროპირის შემდგომ მოღვაწე ჰიმნოგრაფებს. ზოგ ეკლესიაში უკვე ძველად არსებობდა შემდეგი ჩვეულება: ლიტურგიის ან ცისკრის მსახურების დროს იმ დღეს მოხსენიებული წმინდანის ცხოვრებას კითხულობდნენ. თანდათანობით ეს ტრადიცია შეიცვალა ღვთისსათნო ადამიანთა სადიდებლად დაწერილი მოკლე საგალობლებით – ტროპარებითა და კონდაკებით, რომლებშიც გადმოცემულია წმინდანის ქება ან დღესასწაულის არსი. ეს ტროპარ-კონდაკები შედარებით გვიანდელ ჰიმნოგრაფებს ეკუთვნით. ამ მოკლე საგალობლებიდან შეიკრა ვრცელი ჰიმნები, რომელთაც კანონები ეწოდათ. მათ შესახებ შემდგომ ვისაუბრებთ.

აღსანიშნავია, რომ იოანე ოქროპირის მოღვაწეობამდე არსებობდა ტრადიცია ჯერ ქრისტეს ხორციით, შემდეგ კი მისი სისხლით ზიარებისა – მღვდელი მორწმუნეებს ხელთ აძლევდა უფლის ხორცს, ხოლო სისხლს ბარძიმიდან ასმევდა. მაგრამ იყო შემთხვევები წმინდა ძღვენისადმი უღირსად მოპყრობისა. ზოგი მონაცემით, იოანე ოქროპირმა შემოიღო ქრისტეს სისხლის და ხორცის ერთად, კოვზის საშუალებით ზიარება ერისკაცთათვის, თუმცა ამ ვარაუდს ბევრი არ იზიარებს.

368 წელს ლაოდიკიის კრებამ დაადგინა, რომ დიდმარხვისას, როგორც გლოვისა და საკუთარ ცოდვებზე ტირილის დროს, არ ჩატარებულყო სრული ლიტურგია, გარდა შაბათ-კვირისა. ბასილი დიდის ცნობით, ასეთი ტრადიცია ალექსანდრიის ეკლესიაში უძველესი დროიდანვე არსებობდა. იქ, გადმოცემის თანახმად, დიდმარხვაში, ოთხშაბათობითა და პარასკევობით სრულდებოდა პირველშეწირული ძღვენის ლიტურგია. VI საუკუნის ბოლოს ან VII საუკუნის დასაწყისში პირველშეწირული ძღვენის ლიტურგიის წესი წერილობით ჩამოაყალიბა წმინდა გრიგოლ დიოლოგოსმა. VII საუკუნის დასაწყისში მარხვაში გალობდნენ: „წარემართენ ლოცვაჲ ჩემი“; 612 წელს დადგინდა, მარხვის პერიოდში ქერუბიმთა საგალობელის ნაცვლად ეგალობათ: „აწ ძალნი ცათანი ჩუენთანა უხილავად მსახურებენ, რამეთუ ესერა შემოვალს მეუფე დიდებისა, ესერა მსხვერპლი საიდუმლოდ აღსრულებული ძღვენი. სარწმუნოებით და სიყვარულით მოვედით, რადთა ზიარებად ცხოვრებისა საუკუნოსა ვიქმნეთ, ალილუია“. პირველშეწირულის

ლიტურგიის საყოველთაო აღსრულება 680 წელს, VI მსოფლიო კრების განჩინებით დადგინდა.

დანარჩენი საეკლესიო მსახურებანიც პირველი საუკუნეებიდან იღებენ დასაბამს, თუმცა მათი შესრულების წესი დროთა განმავლობაში თანდათან ყალიბდებოდა ეკლესიის წმინდა მამათა მიერ. სამწუხრო, ღამის, ცისკრისა და შუადღის ლოცვების დროის მკაცრად დაცვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დევნის შეწყვეტის შემდგომ. „მოციქულთა განწესებებში“ ნახსენებია, რომ მწუხროზე იკითხებოდა 140-ე ფსალმუნი: „უფალო, ღაღად-ვყავ...“, ლოცვა „და ღირს-მყვენ ჩუენ უფალო...“ და სვიმეონ ღვთისმამის ლოცვა.

311 წელს მღვდელმოწამე ათინოგენემ, ემზადებოდა რა მოწამებრივი სიკვდილისთვის, უფალს აღუვლინა ჰიმნი, რომელიც დღევანდლამდე იგალობება სამწუხრო ღვთისმსახურებაზე და მიუთითებს ჭემმარიტი, დაულამებელი ნათლის გამოცხადების მოახლოებას: „ნათელი მხიარული წმიდისა დიდებულისა, უკუდავისა მამისა ზეცათასა, წმიდა მაცხოვარი ჩუენი იესო ქრისტე. მოსრულთა დასლვასა მზისასა, ვიხილეთ ნათელი სამწუხროდ. ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ღმერთსა; ღირსმცა ვართ ყოველსა ჟამსა მგალობლად შენდა ხმითა ტკბილითა, ძეო ღმერთისაო, ცხოვრების მომცემელო, რომლისათვისცა ყოველი სოფელი შენ გადიდებს“. ეს საგალობელი ძალიან ადრე ჩაერთო სამწუხრო ღვთისმსახურებაში.

ცნობილია, რომ ჩვენს მართლმადიდებლურ მსახურებაში ასახულია წმინდა ისტორიის მდინარების უმთავრესი მოვლენები: სამყაროსა და ადამიანის შექმნა, ადამიანის დაცემა და მისი გამოსყიდვა იესო ქრისტეს სიკვდილით. ამ ეპიზოდებს ასახავს სამი მსახურების: მწუხროს, ცისკრისა და ლიტურგიის საკითხავები, საგალობლები და სიმბოლური ქმედებანი; მწუხრიც, ცისკარიც და ლიტურგიაც თავისთავში ასევე სამ მსახურებას აერთიანებს: მწუხროთან ერთად იკითხება მეცხრე ჟამნი და სერობა, ცისკრის წინ – შუადამიანი, შემდგომ – პირველი ჟამნი; ხოლო ლიტურგიის წინ მესამე და მეექვსე ჟამნები.

რადგანაც საეკლესიო დღე საღამოდან დგება, ამ დროს სრულდება სამწუხრო მსახურებანი. იგი იწყება მეცხრე ჟამნის საკითხავებით (ეს ქრისტეს საშინელი და მაცხოვრებელი აღსასრულის დროა), შემდეგ მოდის მწუხრო – იგი ეძღვნება სამყაროს შექმნის მოვლენების გახსენებას: დაბადებას, პირველ ადამიანთა ნეტარებას სამოთხეში, მათ დაცემასა და მათთვის ნაბოძებ გადარჩენის სასოებას. ეს იმედი ასახულია ღვთისმშობლის სადიდებელ ჰიმნებში და საგალობელში იესო ქრისტესადმი: „ნათელი მხიარული“. სვიმეონ ღვთისმამის ლოცვა უკვე მიანიშნებს აღთქმის აღსრულებას. სერობაში გამოთქმულია



სინანული და ლოცვითი ვედრება ღვთისადმი, რათა დაგვიფაროს ყოველი ბოროტისაგან ღამით, რომელიც წინ გვიძევს.

ცისკრის მსახურებაზე, რომელიც შედგება შუალამიანის, ცისკრისა და პირველი ჟამნისგან, იკითხება საკითხავები ძველი აღთქმის წიგნებიდან. ამით ვიხსენებთ იმ დროს, როდესაც ებრაელი ერი მძიმე მონობით იტანჯებოდა ეგვიპტეში და აღთქმულ მიწაზე ოცნებობდა; თვალწინ ცოცხლდება ცოდვის მონობით გაწამებული, გადარჩენის მოიმედე მთელი კაცობრიობა.

ექვსფსალმუნება გამსჭვალულია გლოვით, დაცემული ადამიანის სინანულითა და აღთქმული მოწყალებისადმი მტკიცე სასოებით. სამწუხრო მსახურების დასასრული ახალი აღთქმის ეპოქას მოასწავებს – უკვე კრთება ათინათი, რომელმაც უნდა განკვეთოს წყვდიადი და ნათელი მოჰფინოს ადამიანებს. გაისმის სამყაროსთვის უდიდესი სიხარულის მაუწყებელი ანგელოზთა საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და აი, შემახილიც: „ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩუენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა!“ გარიჟრაჟს, რასაც ქრისტიანები ესოდენ ხშირად ეგებებოდნენ ლოცვით, ესალმებიან სასიხარულო დიდებისმეტყველებით: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი...“ ანუ ნათელი დღისა, „ნათელი მხიარული“, რომელმაც სამყარო გააცისკროვნა „სიძმართლის მზის“ (ღმერთის) ბრძანებით.

სხვა დანარჩენ მსახურებებთან ლიტურგიის დამოკიდებულება ძალიან ჰგავს ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ურთიერთმიმართებას. ყველა მსახურება მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია ლიტურგიისა – საზეიმო, ახალი აღთქმისეული მსახურებისა. ევქარისტის უწმინდესი საიდუმლო ასახავს გოლგოთის მსხვერპლშეწირვას. ამ დროს მორწმუნეებს პურისა და ღვინის სახით ეძლევათ თავად ქრისტეს ხორცი და სისხლი.

წმინდა მამათა ნაწერებიდან ვიგებთ, როდის რომელი ფსალმუნები და ლოცვები იკითხებოდა, მაგალითად, ღამის მსახურებისას გარდა გამოკრებილი ფსალმუნებისა, მთლიანად, თანმიმდევრულად იგალობებოდა მთელი „ფსალმუნნი“. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაოდიკის კრების დადგენილებით დაწესდა თითოეული ფსალმუნის შემდეგ საკითხავის წაკითხვა (ლაოდ. კრების კანონი, 17). რადგანაც ფსალმუნთა მთელ წიგნს ერთ მსახურებაზე ან ერთ დღეში ვერ იგალობებდნენ, იგი დაყვეს ოც ნაწილად და თანმიმდევრობით კითხულობდნენ. მსმენელთა ყურადღების მოსაკრებად თითოეული

ნაწილი – კაფიზმა (კანონი)<sup>2</sup>, კიდევ სამად დაყვეს. თითოეული მათგანის შემდგომ იგალობებოდა ყოვლადწმიდა სამების სადიდებელი, რომლის დროსაც ყველა ფეხზე დგებოდა.

აი, როგორ აღწერს ცისკრის მსახურებას ბასილი დიდი: „ჩვენთან, სამლოცველო სახლში, ჯერ კიდევ ღამიდან ისწრაფვის ხალხი: ცრემლით, შრომითა და შემუსვრილებით ლოცულობენ... შემდეგ დგებიან ფსალმუნთა საგალობლად. ორ ჯგუფად გაყოფილი მლოცველები გალობენ რიგრიგობით, ასე ერთად ხდება აზრის მოკრება ღვთის სიტყვებზე, ხელი ეწყობა ყურადღების მოზიდვას... შემდგომ ერთი დაიწყებს გალობას, სხვანი აჰყვებიან. ასე გალევენ ღამეს სხვადასხვა ფსალმუნთგალობაში, მას ანაცვლებენ ლოცვას, ხოლო განთიადზე ყველა ერთად, ერთითა პირითა და ერთითა გულითა, გალობს აღიარების ფსალმუნს....“

იოანე ოქროპირი, ბასილი დიდის მსგავსად, ხშირად მოუწოდებდა ქრისტიანებს, ღამის ნაწილი დაეთმოთ ლოცვისთვის და ღამის ღვთისმსახურებისთვის დადგენილ ფსალმუნებსა და ლოცვებზე მიუთითებდა. მან მნიშვნელოვნად შეავსო აღნიშნული მსახურებანი და უფრო საზეიმო და მიმზიდველი გახადა. ეს გადაწყვეტილება იოანე ოქროპირს ერთმა შემთხვევამ მიაღებინა: როდესაც კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი იყო, არიანელები, რომელთაც ქალაქის ტაძარში მსახურების უფლება არ ჰქონდათ, ღამღამობით იკრიბებოდნენ მოედნებზე და ორ გუნდად გალობდნენ ანტიფონებს, რომლებშიც ერეტიკული მოტივები სჭარბობდა. გამთენიისას საზეიმო მსვლელობით მიემართებოდნენ ქალაქგარეთ და იქ თავიანთ ტაძრებში აგრძელებდნენ ჰიმნების გალობას, რომლებიც გამოირჩეოდნენ ტკბილხმოვანებით და ამიტომაც მრავალს იზიდავდნენ.

იოანე ოქროპირმა დაინახა, რომ ხალხზე გალობა დიდ ზემოქმედებას ახდენდა, ამიტომ ყურადღება გაამახვილა ტაძრებში გალობაზე და შემოიღო საერთო ასამაღლებლები, რითაც ხალხი ყოვლადწმიდა ერთარსება სამებას აღიარებდა. მისი მცდელობით გახშირდა ძველი დიდებისმეტყველების – „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ – გამეორება; მანვე დაადგინა ჯვრებითა და სანთლებით მსვლელობა, რომლის დროსაც აღევლინებოდა ეკლესიის მშვიდობის, სულის ცხონების, განსაცდელთა არიდების სავედრებელი საგალობლები. ყველა თხოვნა მთავრდებოდა საერთო შემახილით: „უფალო, შეგვიწყალებ!“ წესად იქცა ჯვრით მსვლელობა სხვადასხვა მიზეზთა

---

<sup>2</sup> კაფიზმა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ჯდომას“; ძველად ფსალმუნთა გალობის დროს ფეხზე მხოლოდ მგალობელი იდგა, დანარჩენები ისხდნენ და ისე უსმენდნენ

გამო, მაგალითად, უბედურების შეწყვეტის სათხოვნელად, ღვთის მიერ მონიჭებული წყალობის გასახსენებლად და ა.შ. ღამის ღვთისმსახურება განსაკუთრებით საზეიმოდ სრულდებოდა დიდი დღესასწაულებისა და დიდი წმინდანების ხსენების დღეებში. ყოველივე ამის შედეგად ხალხმა მიატოვა არიანელთა შეკრებები.

ღვთისმსახურება განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო მონასტრებში. მაგალითად, წმინდა საბას ლავრაში სადღესასწაულო მსახურება იწყებოდა წინა საღამოს და მთავრდებოდა მეორე დღეს დილით. ტრადიციად დამკვიდრდა ასეთ დროს პურის, ღვინისა და ზეთის კურთხევა, რაც მლოცველებს ურიგდებოდათ მცირედ საზრდოდ, თან ხმამაღლა იკითხებოდა მოციქულთა საქმენი აღდგომიდან სულთმოფენობამდე. ჩვეულებრივ იკურთხებოდა ხუთი პური – ამით იხსენებდნენ უფლის მიერ აღვლენილ სასწაულს, როდესაც მან ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი განაძღო. პურის კურთხევა ხდებოდა ლიტის შემდეგ (“ლიტია“ ნიშნავს საზოგადო, გულმოდგინე ლოცვას. იგი სრულდებოდა სტოაში ან შუა ტაძარში).

ეკლესიის წმინდა მამები ამდიდრებდნენ და განაშვენებდნენ საეკლესიო მსახურებას ახალი საგალობლებითა და ლოცვებით. როგორც აღვნიშნეთ, ერეტიკოსებიც თხზავდნენ თავიანთი ცრუსწავლების განმადიდებელ მრავალ სასულიერო ჰიმნს, რასაც, რაკი პირველ ხანებში ჯერ კიდევ მკაცრად არ იყო განსაზღვრული საეკლესიო მსახურების ტიპიკონი, საერთო ლოცვით შეკრებებზე გალობდნენ. ამან აიძულა ეკლესიის მამები, შეედგინათ ეკლესიის წმინდა სწავლების ამსახველი ჰიმნები და ლოცვები და ფხიზლად ედევნათ თვალყური, თუ რა იგალობებოდა მსახურების დროს. ამრიგად, ეკლესიის თითქმის ყველა მამამ თავისი კვალი დატოვა საეკლესიო საგალობლების შექმნა-განვითარებაში.

წმინდა ათანასე დიდი, რომელიც ასე დაუღალავად ზრუნავდა ეკლესიის სწავლების სიწმინდეზე, თავის წიგნებსა და წერილებში მიუთითებდა, რომელი ფსალმუნები უნდა ეკითხათ ღვთისმსახურებაზე და როდის. მაგალითად, მოითხოვდა ტრაპეზის წინ საუფლო ლოცვის წაკითხვას, თავადვე შეადგინა სამადლობელი ლოცვა საზრდელის მიღების შემდეგ: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი გვზრდის და გვწყალობს...“ და ლოცვა: „უხვი და მოწყალე არს უფალი, რომელი მოსცემს საზრდელსა მოშიშთა მისთა...“

წმინდა ბასილი დიდს ეკუთვნის მრავალი ლოცვა, მანვე დაწერა სულთმოფენობის მწუხრის განაწესი, რომლის დასასრულსაც იკითხება ლოცვები და სრულდება მუხლმოდრეკა – პირველად აღდგომის დღესასწაულის შემდგომ. ცნობილია, რომ აღდგომიდან მთელი ერგასის

განმავლობაში, როგორც ზეიმისა და სიხარულის პერიოდში, ძველთაგანვე არ სრულდებოდა მუხლმოდრეკა, რაც გლოვისა და შემუსვრილების სიმბოლოა. მუხლმოდრეკას არც კვირადღეს ასრულებდნენ.

გრიგოლ ღვთისმეტყველს ეკუთვნის მრავალი სასულიერო ლექსი, თუმცა ისინი ღვთისმსახურებისას არ იკითხება. მაგრამ მისი შთაგონებული საუბრებიდან, სადაც ის ასეთი ძალმოსილებითა და ენამზეობით გადმოსცემს ეკლესიის ჭეშმარიტ სწავლებას, ბევრი რამ შევიდა საეკლესიო საგალობლებში. მაგალითად, მისი სიტყვიდან ქრისტესშობის შესახებ: „ქრისტე იშვება, ადიდეთ...“; აღდგომის შესახებ: „პასქა დიდი და წმიდა...“

ეფრემ ასურის მოღვაწეობის დროს სირიასა და მესოპოტამიაში გავრცელდა გნოსტიკოს ბარდესანისა და სხვათა ერეტიკული ლექსები, რაც ამ წმინდა მამამ თავისი მაღალმხატვრული საგალობლებით განდევნა. აი, რას მოგვითხრობს მისი მემკვიდრე: „ეფრემი ხედავდა, რაოდენ ხიბლავდათ ედესელებს ჰანგები და უჯერო სიმღერები, და გადაწყვიტა, ისინი ამოეძირკვა მათი მეხსიერებიდან. შეკრიბა აღთქმადანდებული ქალწულები და ასწავლა საგალობლები და მონაცვლეობით (კლიროსებად) გალობა. ეს საგალობლები შეიცავდა სულიერად ამაღლებულ აზრებს ქრისტესშობაზე, ნათლისღებაზე, მარხვაზე, ტანჯვაზე, სინანულზე, აღდგომაზე და ამაღლებაზე; მათ ერთვოდა ჰიმნები მოწამეთა მიმართ, სინანულზე და მიცვალებულებზე. მისი ბრძანებით, ქალწულნი თავს იყრიდნენ ეკლესიაში ბრწყინვალე საუფლო დღესასწაულების, მოწამეთა ხსენების დროს და კვირადღეობით. ასე თანდათან მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი მასთან, ერეტიკულ ლექსთა მთხზველნი კი მიმოიფანტნენ“.

ღირს ეფრემს დაახლოებით 12000 სასულიერო საგალობელის ავტორობას მიაწერენ. ზოგი მათგანი დაწერილია ერეტიკოს აერიოსის წინააღმდეგ, რომელიც ქადაგებდა – უარი ეთქვათ მიცვალებულთათვის ლოცვაზე; როგორც ვიცით, ეკლესია უძველესი დროიდანვე აღუვლენდა უფალს ლოცვებს მიცვალებულთათვის და მათ ფსალმუნების გალობითა და ზეიმით ასაფლავებდა. ღირსი ეფრემის ლოცვებიდან დღეს ჩვენთვის ცნობილია სულიწმიდისადმი ლოცვა: „უფალო, მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, მილხინე და მომიტვე უღირსსა მონასა შენსა...“; ღვთისმშობლისადმი ლოცვა; განსაკუთრებით კი მუხლმოდრეკით წასაკითხი სინანულის ლოცვა, რომელიც დიდმარხვის დღეებში გაისმის: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო...“. იგი ღირსი ეფრემის სიკვდილიდან ძალიან მალე ჩართეს დიდმარხვის მსახურებაში.

IV საუკუნის დიდმა მოღვაწემ, ღირსმა მაკარი ეგვიპტელმა დაწერა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები და ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი.

V საუკუნეში, როდესაც ერეტიკოსი ნესტორი გონებას უმღვრევდა მორწმუნეებს და უკრძალავდა ყოვლადწმიდა ქალწულისთვის ღვთისმშობელი ეწოდებინათ, შეიქმნა სადიდებელი ჰიმნი: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ!..“ ფიქრობენ, იგი ეკუთვნის კირილე ალექსანდრიელს, რომელმაც ნესტორის დამარცხებაში დიდი როლი შეასრულა. მასვე მიეწერება დიდი პარასკევის სამეუფო ჟამნის განაწესი, რომელსაც მოგვიანებით გადახედა და შეავსო სოფრონ იერუსალიმელმა.

V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნეში სადღესასწაულოდ და მოწამეთა მოსახსენებლად მრავალი საგალობელი დაწერეს ანატოლი იერუსალიმელმა, რომანოზ ტკბილადმგალობელმა და ავქსენტოსმა; კონსტანტინოპოლის მთავარი ტაძრის დიაკონმა გიორგი პისიდიელმა სპარსელებთან იმპერატორ ჰერაკლეს ომის (VII ს. დასაწყისი) წარმატებით დასასრულის აღსანიშნავად შეადგინა ღვთისმშობლის აკათისტო (დაუჯდომელი); პატრიარქმა სერგიმ დაადგინა – ყოველწლიურად, დიდმარხვის მეხუთე კვირის შაბათს, ჩატარებულიყო ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მსახურება ამ სამადლობელი ჰიმნის გალობით.

ამავე საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონმა დაწერა ქრისტესშობის დიდი ჟამნი. მისი სიტყვიდან ვიგებთ, რომ ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილ მსახურებას თავად იერუსალიმის პატრიარქი ოდითგანვე განსაკუთრებით საზეიმოდ ატარებდა ბეთლემში. მაგრამ, იმხანად ქვეყანას მაჰმადიანები დაეპატრონენ, რომელთაც აკრძალეს ტრადიციული დღესასწაულის ჩატარება ბეთლემში, რის შემდეგაც მსახურება იერუსალიმში, ღვთისმშობლის ტაძარში აღევლინებოდა. უდიდესი ზეიმით აღნიშნავდნენ იორდანეს წყლების კურთხევას ნათლისღების დღეს. დიდი წყალკურთხევის განაწესის საბოლოოდ ჩამოყალიბებასაც, მართალია პატრიარქ სოფრონს მიაწერენ, მაგრამ მისი ტრადიცია ძველია – ცნობების თანახმად, იგი უკვე არსებობდა არაუგვიანეს IV საუკუნისა.

VIII საუკუნეში შეიქმნა და ეკლესიაში დამკვიდრდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი. ამ პიროვნებამ კიდევ ბევრი კანონი შეადგინა ღვთისმშობლისა და წმინდანთა პატივსაცემად.

დადგა ხატმზრძოლობის უმძიმესი პერიოდი!..

აიკრძალა ღვთისმშობლისა და წმინდანების დიდება, წმინდა ხატების თაყვანისცემა, მაგრამ არასდროს შექმნილა ისე ამალღებული და მრავალფეროვანი საგალობლები, როგორც ამ დროს – ასე გამოხატეს

ქრისტიანებმა სიწმინდისადმი კეთილკრძალებული ღვთისმსახურება ღვთისმშობლისა და წმინდანთა პატივსაცემად შთაგონებული საგალობლებით განაშვენეს ჭეშმარიტების ისეთმა აღმსარებლებმა, როგორებიც იყვნენ: გერმანე კონსტანტინოპოლელი, იოანე დამასკელი, კოსმა მაიუმელი, თეოდორე და იოსებ სტუდიელები, თეოფანე და თეოდორე აღმსარებლები, თეოსტერიკე, იოსებ მგალობელი, პატრიარქი მეთოდე...

ბოლოს მსოფლიო კრებამ დაადგინა, რომ ეკლესიას აქვს სრული უფლება, სიტყვითაც და გამოსახულებათა საშუალებითაც გამოხატოს თავისი კრძალვითი თაყვანისცემა მარადისქალწულისა და ღვთისსათნო წმინდანებისადმი. ამ მძიმე დროს ღვთისმსახურებათა წესი საბოლოოდ განისაზღვრა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი იოანე დამასკელს მიუძღვის. ხატმბრძოლობის ერესის მოწინააღმდეგემ, ჭეშმარიტების ქომაგმა და მისთვის ტანჯულმა იოანე დამასკელმა, როგორც მკითხველისთვის ცნობილია, სიჭაბუკიდანვე შეიძულა ამსოფლიური ბრწყინვალეობა და პატივი; წმინდა საბას ლავრაში შედგა მონაზვნად და უფალს მიუძღვნა სიცოცხლაც და საგალობელთა შეთხზვის ნიჭიც. მან იმოგზაურა იერუსალიმში, მოინახულა ადგილები, სადაც აღსრულდა ჩვენი გადარჩენა და დაწერა უაღრესად შთამბეჭდავი, განუმეორებელი საგალობლები, რომლებშიც ხოტბა შეასხა საღვთო მოწყალებას.

გავიხსენოთ მის მიერ შედგენილი სააღდგომო მსახურება – იგი სიხარულითა და ზეიმით სუნთქავს, შთამბეჭდავად გამოხატავს ხალხით სავსე გრძნობებს, რაც ქრისტიანს ეუფლება აღდგომის დღეს – ქრისტეს მიერ სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაზე ფიქრის დროს; გავიხსენოთ ესოდენ სულშიჩამწვდომი ანტიფონები და ეპიტაფიები, მაღალპოეტური ტროპარები წმინდანებისადმი და სადღესასწაულო კანონები, ღვთისმშობლის სადიდებელი: „შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული“, „აურაცხელ არიან ცოდვანი ჩემნი, ღვთისმშობელო“ და ა.შ. იოანე დამასკელსვე ეკუთვნის უფლის დედისადმი მიძღვნილი სხვა საგალობლებიც, რომელთა კრებულს „დოგმატიკონი“ ეწოდება, რადგანაც მათში ასახულია იესო ქრისტეს განხორციელების საეკლესიო დოგმატი ნესტორიანულ, მონოფიზიტურ და მონოთელიტურ ცრუსწავლებათა სამხილებლად. აქედან გასაგები ხდება, იოანე დამასკელი რატომ ითვლება (სრულიად სამართლიანად!) ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს მამად და ჰიმნოგრაფად.

ამ პერიოდისთვის საეკლესიო მსახურებებმა უკვე მიიღო გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული სახე. ახლა ყურადღება მივაპყროთ ზოგიერთი საგალობლის აგებულების თავისებურებებს. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქრისტიანული ეკლესიის მსახურებაში უფლის მიერ

თავდაპირველად თავის რჩეულ ერზე – ებრაელებზე გარდამოვლენილ წყალობათა გახსენება ახალი აღთქმის მოვლენების ხსოვნასთან არის გაერთიანებული. ამით ნაჩვენებია, რომ ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიები განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ასევე ცოცხალი კავშირი არსებობს ძველი აღთქმის პერიოდში მესიის მომლოდინეთა და უკვე მოვლინებული მესიის მორწმუნეთა შორის, რომელთაც იციან, რომ მაცხოვარმა აღასრულა ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებათა და წინასახეთა საშუალებით მითითებული უდიდესი საქმენი.

ეს უწყვეტი კავშირი ცხადად ჩანს ქრისტიანული ეკლესიის საგალობლებში. ეკლესიამ შეიწყნარა ძველი აღთქმის ღვთისმსახურების დროს გამოყენებული საგალობლები და ისინი ახალი აღთქმისათვის ნიშანდობლივ სადიდებელ ჰიმნებს შეუერთა. ყურადღება მივაქციოთ კანონებს – ასე ეწოდება გარკვეული წესითა და სალექსო მეტრით შერჩეულ წმინდა საგალობელთა ერთობლიობას. სადღესასწაულო კანონების უდიდესი ნაწილი იოანე დამასკელს ეკუთვნის, ზოგიერთი უფრო ადრე პატრიარქმა ანატოლიმ შეთხზა, ზოგიც იმავე დროს, ან მოგვიანებით კოსმა მაიუმელმა და სხვა ჰიმნოგრაფებმა შეადგინეს.

ერთი სრული კანონი შედგება ცხრა გალობისგან, რომელთაგან თითოეულში შედის რამდენიმე მოკლე მუხლი, ე.წ. ტროპარები. ცხრა გალობათაგან თითოეულის პირველ ტროპარს ეწოდება ირმოსი (ძლისპირი). იგი წყობის მეტრითა და სამგალობლო კილოთი ნიმუშს წარმოადგენს. დანარჩენი ტროპარების მეტრიც და კილოც ირმოსზეა დამოკიდებული. ასეთია კანონის გარეგნული აგებულება. თავისი შინაარსით კანონის თითოეული გალობა ეხება წმინდა წერილის ამ მუხლებიდან ერთ-ერთს:

პირველი – მოსესა და მარიამის (აარონის დის) მიერ მეწამული ზღვის გადალახვის შემდგომ გალობას: „უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს“ (გამ. 15,1).

მეორე – ებრაელთა მიმართ მოსეს მამხილებელ გალობას: „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი, და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისა ჩემისათა“ (2 სჯ. 32,1). იგი შედგენილია მკაცრი საყვედურებისა და მხილებათაგან და ერს მოუწოდებს სინანულისა და შემუსვრილებისკენ, ამიტომაც სადღესასწაულო კანონებში არ შედის, სამაგიეროდ, იგალობება მარხვის დღეებში.

მესამე – ანნა წინასწარმეტყველის მიერ ღვთისადმი აღვლენილ სადიდებელს: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ, და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა მიერ ჩემისა, განავრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა; განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა“ (1 მეფ. 2,1).

მეოთხე – ამბაკუმ წინასწარმეტყველის საგალობელს, სადაც იგი გვამცნობს ძე ღვთისას მოვლინებას: „უფალო, მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა“ (ამბ. 3,2).

მეხუთე – ესაია წინასწარმეტყველის გალობას: „ღამითგან აღიმსთობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო“ (ეს. 26,9).

მეექვსე – იონა წინასწარმეტყველის გალობას: „ღალად-ვყავ ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა“ (იონ. 2,3).

მეშვიდე და მერვე – ბაბილონის სახუმილში უვნებლად გადარჩენილი სამი ყრმის უფლისადმი სადიდებელს: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო, მამათა ჩვენთაო, ქებულ და დიდებულ არს სახელი შენი უკუნისამდე“ (დან. 3,26); „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, უგალობდით და უფროსად ამალლებდით მას უკუნისამდე“ (დან. 3,57).

ბოლოს, მეცხრე გალობა, რომელშიც უკვე გამოყენებულია ახალი აღთქმის სადიდებლები: ყოვლადწმიდა ქალწულისა – „ადიდებს სული ჩემი უფალსა...“ (ლუკ. 1,46-55) და იოანე ნათლისმცემლის მამის, ზაქარიასი – „კურთხეულ არს უფალი ღმერთი...“ (ლუკ. 1,68-79).

ამგვარად, ეკლესია საგალობლებით იხსენიებს უმთავრეს მოვლენებს, დაწყებულს სამყაროს შექმნიდან, რომლებშიც გაცხადდა საღვთო ძალა და სახიერება, და მათ უკავშირებს უფლის უდიდეს მოწყალებას – მაცხოვრის მოვლინებას, რისთვისაც ამზადებდა ადამიანებს მთელი ძველი აღთქმა. არსებობს კანონები, რომლებშიც შედის არა ცხრა ან რვა, არამედ ორი-სამი საგალობელი. მათ ორსაგალობელი ან სამსაგალობელი კანონები ეწოდებათ. თითოეული მათგანი შედგება ირმოსისა და ტროპარებისგან. ვნების შვიდეულის მსახურება და ბევრი კანონი ეკუთვნის იოანე დამასკელის მეგობარსა და მასთან აღზრდილ კოსმა მაიუმელს.

საგალობელთა სიმრავლემ და საეკლესიო მსახურებათა გამდიდრებამ, რამაც ცვლილებები შეიტანა მსახურების წლიურ ციკლში, აუცილებელი გახდა საეკლესიო წეს-განგების ხელახალი გადახედვა. ტიპიკონის შექმნისა და ჩამოყალიბებისთვის იღვწოდნენ: ხარიტონ აღმსარებელი (IV საუკუნე), შემდგომ ღირსი ექვთიმე, საბა განწმენდილი და პატრიარქი სოფრონი. იოანე დამასკელმა ხელახლა განიხილა წეს-განგება და მასში ახალი მსახურებანი ჩართო. იგი მოგვიანებით შეავსეს თეოდორე სტუდიელმა და მარკოზ ოტრანტელმა (IX ს.). დღეს ეს წიგნი ცნობილია ტიპიკონის ანუ საეკლესიო განაწესის სახელით.

შემდეგ იოანე დამასკელმა შეკრიბა კანონები, სტიქარონები და ანტიფონები, რომლებიც კვირაობით იგალობება, აგრეთვე საკვირაო მსახურებანი, დაწყებული შაბათის მწუხრიდან, და დაყო რვა ხმად, ანუ



კილოდ. თითოეული ხმა ერთ საკვირაო მსახურებას ეძღვნება. ამ კრებულს ოქტობრისი ანუ რვა ხმათა (იგივე პარაკლიტონი) ეწოდება. იგი მოგვიანებით შეივსო შვიდეულის დანარჩენ დღეთა მსახურებებით და ასეთად მოაღწია ჩვენამდე.

ამ დიდმა მასწავლებელმა კიდევ ერთი უდიდესი შრომა გაწია: მანამდე ქრისტიანული სწავლების ჭეშმარიტებანი მეცნიერულ სისტემად არ იყო ჩამოყალიბებული. ერეტიკოსებთან ბრძოლა და ჭეშმარიტი სწავლების გავრცელებაზე ზრუნვა წმინდა მამებს აიძულებდა, პირველი საუკუნეებიდანვე ზუსტად გამოეკვლიათ და განემარტათ სარწმუნოების დოგმატები. ხოლო იოანე დამასკელმა, სწავლულმა ღვთისმეტყველმა და ღრმა მოაზროვნემ, პირველმა შეკრიბა წმინდა მამათა განმარტებანი საეკლესიო დოგმატების შესახებ, შეადარა ისინი წმინდა წერილსა და მსოფლიო კრებათა მასალებს და შეადგინა „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა“. ეს იყო პირველი წიგნი, სადაც მეცნიერულად იყო განმარტებული ღვთისმეტყველება.

იოანე დამასკელის შემდგომ ღვთისმსახურების წესზე დიდად ზრუნავდა ღირსი თეოდორე სტუდიელი, რომელმაც ბევრი კანონი და სტიქარონი დაწერა დიდმარხვის მსახურებისთვის. მას ეკუთვნის: ჯვრის თაყვანისცემის კვირის მსახურება და კანონი პატიოსანი ჯვრისა; ხორციელის კვირის კანონი და წმინდანებისადმი მიძღვნილი მრავალი საგალობელი. საეკლესიო ჰიმნებს სტუდიელის სავანის სხვა მონაზვნებიც წერდნენ.

840 წელს, პატრიარქ მეთოდეს დროს, ხატომბრძოლობის დამხობის შემდეგ, დადგინდა „მართლმადიდებლობის ზეიმი“. ფოტიოსის მოღვაწეობის ჟამს შემოღებული იქნა წყლის კურთხევა ყოველი თვის დასაწყისში; ვარაუდობენ, რომ მცირე წყალკურთხევის წესიც, რომელიც პარაკლისთან ერთად სრულდება, პატრიარქ ფოტიოსს ეკუთვნის.

IX საუკუნის შემდგომ საეკლესიო მსახურებებში მნიშვნელოვანი დამატებები აღარ შეუტანიათ.

ეკლესიის მამათა ღვაწლით X-XI საუკუნეებისთვის უკვე შედგენილი იყო შემდეგი საღვთისმსახურო წიგნები:

ტიპიკონი ანუ საეკლესიო წეს-განგება.

წირვის კონდაკი – სახელმძღვანელო მღვდლებისა და დიაკვნებისთვის – მწუხრის, ცისკრისა და წირვის ჩასატარებლად.

პარაკლიტონი, თვენი, სადღესასწაულო თვენი – მათში შედის მსახურებანი, რომლებიც სრულდება ხმებისა და კალენდრის მიხედვით.

მარხვანი – შეიცავს მსახურებებს, რომლებიც სრულდება დიდმარხვასა და მისთვის მოსამზადებელ პერიოდში.

ზატყვი – შეიცავს მსახურებებს აღდგომიდან ყოველთა წმინდათა კვირიაკემდე. მისი შემდგენლები არიან კოსმა მაიუმელი, წმინდა ანდრია კრეტელი, იოსებ და თეოდორე სტუდიელი – ამ წიგნებში მოგვიანებით რამოდენიმე ლოცვა ჩართეს ნიკიფორე კალისტოსმა (XI ს.) და გრიგოლ პალამამ (XIV ს.).

ორმოლოგიონი – ხმების მიხედვით განაწილებული ძლისპირების კრებული. მის შემდგენლად ითვლება თეოდორე სტუდიელი.

კურთხევანი – ლოცვების კრებული ყველა საეკლესიო წესის აღსასრულებლად (საიდუმლოების, ტაძრის კურთხევის, წყლის კურთხევის, პანაშვიდის და სხვ.). ჩამოყალიბებული სახე მიიღო IX საუკუნისათვის, თუმცა მოგვიანებითაც შევიდა მასში ზოგიერთი ცვლილება და დამატება.

ქრისტიანობის ადრეული ეპოქის მწერლების მიხედვით, სამლოცველო სახლებში იკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავიდან წინამძღვარზე – ეპისკოპოსზე ან პრესვიტერზე იყო დამოკიდებული საკითხავების შერჩევა. მაგრამ ისინი თანდათან განისაზღვრა გასახსენებელი დროის ან მოვლენის შინაარსის მიხედვით. მაგალითად, ვიცით, რომ უკვე IV საუკუნეში შესაქმის წიგნი იკითხებოდა დიდი მარხვის განმავლობაში; იობის წიგნი – ვნების კვირას; მოციქულთა საქმენი – აღდგომის შემდგომ. რაც შეეხება სახარების საკითხავებს, იგი დაზუსტდა მას შემდგომ, რაც წმინდა მოვლენებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები დადგინდა.

ახალი აღთქმის წიგნების თავებად დაყოფა უკვე V საუკუნიდანაა ცნობილია. ამავე საუკუნეში დიაკონმა ევთალიოსმა კითხვის გასაიოლებლად ტექსტი მუხლებად გაანაწილა. უცნობია, იყო თუ არა სახარება დაყოფილი დასაწყისებად იმ სახით, როგორც დღეს გვაქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსალმუნნი IV საუკუნეში დაყვეს კანონებად.

წმინდა წერილის წიგნების ჩამონათვალს ვხვდებით II-III საუკუნეების მწერლებთან (მელიტონი, ორიგენე, ევსები და სხვები). 393 წელს კართაგენის კრებამ საბოლოოდ დაადგინა, თუ ბიბლიის რომელი წიგნები უნდა ჩაითვალოს კანონიკურად და რომელი არა. უკვე II საუკუნეში არსებობდა წმინდა წერილის სირიული და ლათინური თარგმანები. IV საუკუნის დასასრულს იერონიმემ ხელახლა გადათარგმნა წმინდა წერილი, რომლის გამოყენებაც დაიწყეს მთელ დასავლეთში „ვულგატას“ სახელწოდებით. ინგლისში VII საუკუნეში ბედა ღირსეულმა დაიწყო სახარების თარგმნა მშობლიურ ენაზე, ხოლო IX საუკუნეში მეფე ალფრედმა ფსალმუნთა წიგნი გადათარგმნა ინგლისურად.

აღმოსავლეთში მცხოვრები თითქმის ყველა ერი მშობლიურ ენაზე კითხულობდა წმინდა წერილს. ხშირად მოწმდებოდა და სწორდებოდა ბერძნული ტექსტი; ადრევე არსებობდა წმინდა წერილი სირიულ, ქალდეურ და ეთიოპიურ ენებზე. იოანე ოქროპირი და თეოდორიტე კვირელი ადასტურებენ, რომ დუნაისა და შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ახალმოქცეული ტომები ღვთის სიტყვას თავიანთ ენაზე სწავლობდნენ, ასევე სავარაუდოა, რომ თავადვე არჩევდნენ ღვთისმსახურებაში ჩასართავ საკითხავებს. IV საუკუნეში ულფილამ გოთების ენაზე თარგმნა წმინდა წერილი; V საუკუნის დასაწყისში კი მესროპმა – სომხურად; წმინდა წერილი მშობლიურ ენაზე ჰქონდათ ქართველებსაც, კოპტებსაც და ლიბანელებსაც. IX საუკუნეში წმინდა წერილი სლავურადაც ითარგმნა.

საიდუმლონი სრულდებოდა მოციქულთა ეპოქიდან შემონახული გადმოცემის თანახმად. ნათლისღებისა და მირონცხების წესის აღსრულების ზუსტ აღწერას გვაწვდის კირილე იერუსალიმელი თავის ქადაგებათა კრებულში კათაკმეველთა მიმართ. მაგრამ საიდუმლოს შესრულებისას გამოყენებული ზოგიერთი ლოცვა მოგვიანებით დაწერეს ბასილი დიდმა და იოანე ოქროპირმა. საიდუმლოს აღსრულებისას ნებისმიერ ხილულ ქმედებას აქვს გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა. მაგალითად, ნათლისღების დროს ემბაზში მოსანათლავის სამჯერადი შთაფლვა მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით გამოხატავს იესო ქრისტესთან ერთად თანადაფლვას, რითაც გვეძლევა სასოება, რომ ასევე ქრისტესთან თანააღვდგებით. რამეთუ მოციქული ბრძანებს: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუდს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? და თანა-დავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილსა მისსა, რადთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისადათა, ეგრეცა ჩუენ განახლებითა ცხორებისადათა ვიდოდით. რამეთუ უკუეთუ თანა-წერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ“ (რომ. 6,3-5).

სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ნათლისღების მომდევნო საიდუმლოს – მირონცხების ხილულ ქმედებებსაც: ახალმონათლულის მირონის ცხება მოასწავებს მისი, როგორც ქრისტეს მეომრის, მომზადებას საბრძოლველად ხორცთან, ამა სოფელთან და ეშმაკთან; უნაყოფო ტოტის დამცნობას ნაყოფიერ ზეთისხილზე – იესო ქრისტეზე. ანთებული სანთლებით ემბაზის ირგვლივ მსვლელობა აღნიშნავს განახლებული ცხოვრების ნათელში სვლას და ღმერთთან სულის სამარადჟამო დაწინდვას, ხოლო მონათლულისთვის ახალი სახელის დარქმევა – ახალი ცხოვრების დაწყებას. თავზე აჭრა თმისა მიაწინებს, რომ

ამიერიდან მონათლულმა უნდა აღასრულოს ქრისტეს ნება და არა თავისი.<sup>3</sup>

საიდუმლოს თანამდევნი ზოგიერთი ხილული სიმბოლური ქმედება, რომელიც უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა, ყველგან ერთნაირად არ სრულდებოდა. მაგალითად, ზოგან ახალმონათლულს თავფლსა და რძეს აძლევდნენ ნიშნად სულიერ ნიჭთა სიტკბოებისა და ახალ ცხოვრებაში აღორძინებისა. აფრიკაში აძლევდნენ მარილს, თანახმად ქრისტეს სიტყვებისა (იხ. მარკ. 9,50); იტალიაში ახალმონათლულს ოქროს მონეტას ჩუქნიდნენ, რითაც შეახსენებდნენ მისთვის მიბარებული ტალანტის შესახებ.

თავდაპირველად ყველა ქვეყანაში ნათლისღებას, ანუ ახალ ცხოვრებაში აღორძინებას, მაშინვე მოჰყვებდა მირონცხება, ანუ სულიწმიდის ნიჭების გადაცემა. მაგრამ დასავლეთში, V საუკუნიდან შემოსული ტრადიციის თანახმად, ეპისკოპოსი გარკვეულ დროს მიმოივლიდა ხოლმე თავის ეპარქიას და მაშინ აღასრულებდა მირონცხებასა და ხელდასხმას მათზე, ვინც უკვე მონათლა მღვდელმა. ეს ჩვეულება VIII-IX საუკუნეებში მთელ დასავლეთში დამკვიდრდა – იქ მხოლოდ ეპისკოპოსი აღასრულებდა მირონცხებას. აღმოსავლეთში კი დარჩა ძველი ტრადიცია, რომლის თანახმად, ამ მსახურებას მღვდელი ნათლისღების დასრულებისთანავე ატარებდა. მირონს კი მხოლოდ ეპისკოპოსი აკურთხებდა.

მოგვიანებით ლათინები კიდევ უფრო დაშორდნენ ძველ ტრადიციას და დააწესეს მირონცხება ნათლისღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მონათლული ყმაწვილები კატეხიზმოს ცოდნაში გამოიცდებოდნენ. ზოგი მათგანი მირონცხების გარეშეც რჩებოდა.

სხვა საიდუმლოთა ხილულ ქმედებებშიც სიმბოლურ დატვირთვას ვხედავთ. მაგალითად, უძველესი დროიდან ეკლესია ევქარისტის აღსრულებისას იყენებდა გაფუებულ პურს (სეფისკვერს) და არა ხმიადს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი პური გამოიყენა ქრისტემ ევქარისტის საიდუმლოს დასაწესებლად, არამედ იმიტომაც, რომ ხმიადს იუდეველები პასექზე მიირთმევდნენ მწარე ბალახთან ერთად, რაც ტანჯვასა და გლოვაზე მიანიშნებდა. ხოლო ქრისტიანული აღდგომა, თავად ქრისტე, სიხარულისა და სიცოცხლის სიმბოლოა. ეკლესია ამიტომაც თვლიდა ევქარისტიაზე ხმიადის გამოყენებას არასწორ ტრადიციად, თუმცა ამას პირველხარისხოვან საკითხად მაინც არ მიიჩნევდა.

---

<sup>3</sup> ძველად მონებს თმას კრეჭდნენ ნიშნად იმისა, რომ ამიერიდან მათ უნდა შეესრულებინათ თავიანთი ბატონის ნება და მის სრულ განკარგულებაში გადადიოდნენ.

აღსარება, ანუ სინანულის საიდუმლო, პირველ საუკუნეებში საჯაროდ სრულდებოდა – ქრისტიანები ყველას გასაგონად აღიარებდნენ ცოდვებს. ეკლესიის წინამძღვარი, მისთვის მინიჭებული უფლების ძალით, ზოგს აძლევდა ზიარების ნებას, ზოგსაც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ეპიტიმias ადებდა. მონანულნი ოთხ ჯგუფად იყოფოდნენ:

1. მძიმედ შემცოდენი, ანუ მგლოვარენი – მათ აკრძალული ჰქონდათ ტაძრის სტოაში შესვლა. იდგნენ ეზოში ღია ცის ქვეშ და ემუდარებოდნენ ტაძარში შემსვლელთ, მათთვის ელოცათ.

2. მსმენელნი – მათ შეეძლოთ, მდგარიყვნენ სტოაში და ღვთისმსახურების დროს მოესმინათ საკითხავები და ქადაგება.

3. შევრდომილნი – ისინი ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ დიაკონის მოხმობამდე: „კათაკმეველნო, განვედით!“ ლიტურგიის შემდეგ კი ტაძრის გარეთ მუხლს იდრეკდნენ წინამძღვრის წინაშე და მისგან იღებდნენ დალოცვას.

4. მართლებთან თანამდგომარენი – ესწრებოდნენ მთელ ლიტურგიას, ოღონდ ზიარების ნება არ ჰქონდათ. მსახურების დასრულების შემდეგ მათ მხოლოდ ნაკურთხ წყალს აძლევდნენ.

ყველა მონანულს ეცვა შესაფერისი სამოსი, ისინი საერო სიამეებისგან თავს იკავებდნენ და ზოგჯერ თმებსაც იკვეცდნენ. კათაკმეველთა და მართალთა ლიტურგიების შუალედში ეკლესია ლოცულობდა მონანულთათვისაც. ეპიტიმის დასრულების შემდგომ მათ მთელი ეკლესიის წინაშე უკითხავდნენ მიტევების ლოცვას. III საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის დასაწყისში საჯაროდ აღსარება ფარულით შეიცვალა.

VI საუკუნის დასასრულს პატრიარქმა იოანე მმარხველმა, როგორც ვარაუდობენ, შეადგინა წიგნი, სადაც განსაზღვრული იყო ეპიტიმის ხარისხი შეცოდებისთვის, მაგრამ მან ვერ ჰპოვა საყოველთაო გამოყენება – ეპიტიმებს მონანულებს თავიანთი შეხედულებისამებრ უწესებდნენ სულიერი მამები. დასავლეთში ასეთ პენიტენციალურ წიგნებს, როგორც მათ უწოდებდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და, როგორც აღვნიშნეთ, VIII საუკუნისთვის უკვე შედგენილი იყო გარკვეული კანონები ეპიტიმებისთვის, რასაც ხშირად ფულადი ჯარიმით ცვლიდნენ. XI საუკუნეში პაპმა ლეონ III გამოსცა ცოდვათა მიტევების სიგელები, რომლებიც ტაძრებში იყიდებოდა.

მღვდლობის საიდუმლოს აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს. მოციქულთა ეპოქიდან ჩვენთვის ცნობილია მღვდლობის სამი ხარისხი: ეპისკოპოსი, პრესვიტერი (მღვდელი) და დიაკონი. ხარისხში აყვანა ხდება ხელდასხმითა და ლოცვით, რომლის დროსაც რჩეულზე გარდამოდის სულიწმიდის მადლი. ხელდასხმას ეწოდება

ქიროტონია და აღმოსავლეთის ეკლესიებში იგი სრულდება მოციქულთა დადგენილებებისა და ძველი ტრადიციების თანახმად. ამ საიდუმლოს ხილულ ქმედებებს, როგორც სხვა საიდუმლოთა აღსრულების დროს, აქაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. ასეთივე შინაარს ატარებს მღვდელმსახურთა შესამოსელიც.

დასავლეთში VI საუკუნეში შემოიღეს მღვდელმსახურთათვის თმის განსაკუთრებული ფორმით მოკვეცა, ე.წ. ტონზურა, რაც VII საუკუნეში სავალდებულო გახდა. დასავლელი ეპისკოპოსები ბეჭედს ატარებდნენ ეკლესიასთან დაწინდვის ნიშნად. რომის ეკლესიაში თანდათანობით დაკანონდა სასულიერო პირთა უქოწინებლობის ტრადიცია, რაც აღმოსავლეთში მხოლოდ ეპისკოპოსებს მოეთხოვებოდათ.

ქორწინების საიდუმლო და ზეთის კურთხევის საიდუმლო დღევანდლამდე აღესრულება მოციქულთა ეპოქის გადმოცემის თანახმად, თუმცა მათ მოგვიანებით შექმნილი რამდენიმე ლოცვაც დაემატა.

პირველი საუკუნეების წმინდა მამათა საუბრებიდან ვიგებთ, რომ ქრისტიანები თავიდანვე საზეიმოდ აღნიშნავდნენ კაცთა მოდგმის გადარჩენასთან დაკავშირებულ დიად მოვლენებს; ბუნებრივია, ამ დღესასწაულების დეტალები დროთა განმავლობაში თანდათან დგინდებოდა. ოდითგანვე პირველი და ყველაზე საზეიმო დღე იყო აღდგომა. მორწმუნეები ქრისტეს აღდგომის სასიხარულო ამბავს ულოცავდნენ და ბედნიერების ნიშნად სიყვარულით ეამბორებოდნენ ურთიერთს. გადმოცემის თანახმად, წითელი კვერცხების ჩუქების ტრადიცია ძალიან ძველია და იგი მარიამ მაგდალინელს უკავშირდება, რომელმაც იმპერატორ ტიბერიუსს ქრისტეს შესახებ აუწყა და კვერცხი მიართვა, როგორც სიცოცხლის სიმბოლო.

პირველი საუკუნეებიდანვე აღდგომის დღესასწაულს უსწრებდა მარხვა, რაც ყველგან ერთნაირი ხანგრძლივობის არ ყოფილა; არც აღდგომას აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე დროს. აღდგომის დღესასწაულის დროის შესახებ ადრევე არსებობდა უთანხმოება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის. საკითხი მხოლოდ ნიკეის I მსოფლიო კრების განჩინებით გადაწყდა, მაგრამ მარხვის დაცვის თაობაზე განსხვავება მაინც დარჩა. აღმოსავლეთში ადრევე დაწესდა ექვსკვირიანი მარხვა და ვნების შვიდეული, დასავლეთში კი იგი შედარებით ხანმოკლე იყო.

აღდგომის ღამეს ქრისტიანები ლოცვაში ატარებდნენ. კონსტანტინე დიდის დროს საყოველთაო ზეიმის ნიშნად მთელი ქალაქი განათებული იყო სვეტებად აღმართული ცვილის სანთლებით. განსაკუთრებული აღმაფრენით და სიხარულით განადიდებდნენ ეკლესიის წმინდა მამები

ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს. გავიხსენოთ გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები: „აწ აღსრულდა გადარჩენა სამყაროსი, ხილულისაც და უხილავისაც. ქრისტე აღდგა მკვდრეთით, თქვენც მასთან ერთად თანა-აღდექით... ქრისტე საფლავიდან აღდგა, თქვენ კი ცოდვის ბორკილებიდან განთავისუფლდით; განიხვნა ჯოჯობეთის ბჭენი, მოისრა სიკვდილი... პასეჟი, პასეჟი უფლისა! ის ჩვენთვის დღესასწაულია დღესასწაულთა და ზეიმი ზეიმთა!“ ეს სიტყვები შევიდა იოანე დამასკელის შთაგონებულ საგალობლებშიც, რომელთაც დღესაც სიხარულითა და ღმობიერებით ვუსმენთ.

ყოვლადწმიდა სამების სადიდებლად და მორწმუნეებზე სულიწმიდის გარდამოსვლის აღსანიშნავად მოციქულები და პირველი ქრისტიანები ზეიმობდნენ სულთმოფენობის დღესასწაულს.

პირველ საუკუნეებში უფლის განცხადებად წოდებულ დღესასწაულში ერთიანდებოდა ქრისტესშობა, ნათლისღება, მოგვთა თაყვანისცემა, ქორწილი გალილეას კანაში და ქრისტეს სასწაული – ხალხის დაპურება ხუთი პურიით. აღმოსავლეთში მხოლოდ IV საუკუნეში დაიწყეს ქრისტესშობისა და ნათლისღების ცალ-ცალკე აღნიშვნა. დასავლეთში დღესაც ერთად დღესასწაულობენ ნათლისღებასა და მოგვთა თაყვანისცემას.

ხარებასა და უფლის ამალეებასაც მოციქულთა დროიდან ზეიმობდნენ. არსებობს ეფრემ ასურის საუბრები ფერისცვალებისა და ღვთისმშობლის შობის დღესასწაულთა შესახებ. IV საუკუნეში ელენე დედოფალმა პალესტინაში ააგო ტაძარი ღვთისმშობლის შობის სახელზე. ვარაუდობენ, რომ მისივე ბრძანებით აშენდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაც.

არსებობს III-IV საუკუნეებში მოღვაწე წმინდა მამათა საუბრები მირქმის დღესასწაულის შესახებ, რაც განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნებოდა იუსტინიანეს მმართველობის პერიოდიდან. იმხანად იმპერიას უდიდესი ზიანი მიაყენა საშინელმა მიწისძვრამ და სახადმა; ერთ ღვთისმოსავ ადამიანს ხილვით ეუწყა, რომ განსაცდელები შეწყდებოდა, თუ მირქმის სადღესასწაულოდ აღნიშვნას დააწესებდნენ. იმავე პერიოდში უბედურებათა შესაჩერებლად შეიქმნა საეკლესიო საგალობელი, რომელსაც დღესაც კითხულობენ.

ჯვართამალეება თავიდან აღინიშნებოდა აღდგომის მეორე დღეს, როდესაც დედოფალმა ელენემ ცხოველმყოფელი ჯვარი იპოვა. VII საუკუნეში, როდესაც იმპერატორმა ჰერაკლემ ჯვარი სპარსეთიდან დააბრუნა, ეს ორი მოვლენა გააერთიანეს და ჯვართამალეების დღესასწაული 14 სექტემბერს დაადგინეს. ამ დღესვე დაწესდა მარხვა ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად. და კიდევ, უფლისადმი

მადლიერების ნიშნად მაშინვე დადგინდა ხორციანი საკვებისგან თავშეკავება დიდმარხვის წინა კვირაში.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს ეხება ევრემ ასურის, იერონიმე სტრიდონელის, ავგუსტინესა და IV-V საუკუნეების მამათა ზოგიერთი საუბარი. პირველ ცნობას კი გვაწვდის მელიტონ სარდელი, რომელიც II საუკუნის დასასრულს ცხოვრობდა.

იერუსალიმში უფლის დიდებითა შესვლა (ბზობა, ბაიაობა) ეკლესიის მიერ ძველადაც იმ დღეს აღნიშნებოდა, რა დღესაც ჩვენ აღვნიშნავთ, რაც დასტურდება ათანასე დიდის, იოანე ოქროპირისა და სხვათა მონაცემებით.

კათაკმევლები ძირითადად ინათლებოდნენ დიდ შაბათს (აღდგომის წინ), ნათლისღების, სულთმოფენობის და სხვა დიდი დღესასწაულების წინ.

წმინდა მოწამეთა ხსოვნას უდიდესი პატივისცემით აღნიშნავდნენ პირველი საუკუნის ქრისტიანები. ისინი ყოველწლიურად, მარტვილთა დიდებული აღსასრულის დღეს (რასაც მარადიულ ცხოვრებაში მათი დაბადების დღეს უწოდებდნენ), იკრიბებოდნენ მათს საფლავებზე, აღასრულებდნენ ლიტურგიას და სიყვარულის სერობით ამთავრებდნენ ამ დღესასწაულს. დევნის დროს მორწმუნენი გულმოდგინედ იწერდნენ მარტვილთა დაკითხვებს, დასჯა-წამების პროცესს, რაც შემდგომში მათი ცხოვრების აღწერის წყაროდ იქცა. ამავე ჩანაწერების საფუძველზე დადგინდა მოწამეთა აღსასრულის დღეები; მათ შეემატა ეკლესიის ღირსეულ მწყემსთა, მეუღაბნოე მოღვაწეთა, ძველი აღთქმის წმინდანთა მოხსენიების საზეიმო თარიღებიც. თითოეული ქალაქი, დაბა თუ სავანე, განსაკუთრებული კრძალვითა და სიხარულით იხსენიებდა იმ წმინდანებს, რომლებიც იქ იყვნენ დაკრძალულნი. საქვეყნოდ ცნობილი წმინდანების საფლავებზე მიდიოდნენ შორეული ქვეყნებიდან ან ქალაქებიდან მდინარეებად დამრული მომლოცველები: მაგალითად, რომში პეტრესა და პავლეს საფლავთა თაყვანსაცემად; გალიაში მარტინ ტურელის საფლავზე და ა.შ. აღმოსავლეთში, რა თქმა უნდა, მორწმუნეები ყველაზე ხშირად მიეშურებოდნენ თავად ქრისტეს ცხოვრებითა და ტანჯვით ნაკურთხ პალესტინის წმინდა ადგილებში.

საერთოდ ღვთისსათნო ადამიანებს ეკლესია მათი აღსასრულის დღის მიხედვით იხსენიებს, მაგრამ ყველგან აღნიშნება და საყოველთაო სიხარულის დღედ ითვლება იოანე ნათლისმცემლის, როგორც მაცხოვრის წინამორბედის, შობა. ასევე აღნიშნება იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეც, რომლის შესახებ ცნობებს IV საუკუნის მამათა საუბრებში ვხვდებით. ამ დღეს, დიდი მმარხველის საპატივცემულოდ და იმის გულისხმისსაყოფელად, რომ საშინელ



ცოდვას, უფლის წინამორბედის მკვლელობას, წინ უძღოდა ღრეობა და სიმთვრალე, ეკლესიამ მარხვა დააწესა. წმინდა იოანეს ცხედარი მოწაფეებმა დაასაფლავეს სამარიის სებასტიაში, უკვე III საუკუნეში არსებობდა მის საფლავზე აგებული ტაძარი. ჰეროდიადამ დამალა იოანეს მოკვეთილი თავი, რაც ქოზამ, ჰეროდეს ეზოს მოძღვარმა, იპოვა. მართალია, ღვთისმოსავი ადამიანები კრძალვით ინახავდნენ ამ სიწმინდეს, მაგრამ იგი ორჯერ კიდევ დაიკარგა და ორჯერვე იპოვეს. ბოლოს ეს სიწმინდე იმპერატორმა მარკიანემ საზეიმოდ გადაასვენა კონსტანტინოპოლში, მაგრამ ისევ დაიკარგა ხატომბრძოლობის პერიოდში. ეკლესიამ IX საუკუნემდე დააწესა ნათლისმცემლის პატიოსანი თავის პირველი, მეორე და მესამე პოვნის ხსენების დღეები.

ეკლესია, აგრეთვე, საზეიმოდ აღნიშნავდა წმინდანთა ნაწილების გადასვენებას. მაგალითად, IV საუკუნეში, კონსტანციუსის დროს, კონსტანტინოპოლში, წმინდა მოციქულთა ტაძარში გადაასვენეს მოციქულების: ანდრიას, ლუკასა და ტიმოთეს ნაწილები; იულიანე განდგომილის დროს ანტიოქიელმა ქრისტიანებმა საზეიმოდ გადააბრძანეს ეპისკოპოს ბაბილას ნეშტი; V საუკუნეში მთელი კონსტანტინოპოლი შეეგება იოანე ოქროპირის ნაწილებს, რომლებიც კომანიდან გადმოასვენეს.

წმინდანთა ნაწილების გადასვენების დღე ყოველწლიურად აღინიშნება, განსაკუთრებული დღესასწაული კი ეწყობა იმ ადგილებში, სადაც ნეშტი იქნა დასვენებული. ეკლესია ასევე ყოველწლიურად დღესასწაულობს ტაძრების კურთხევის, ღვთისგან განსაკუთრებული მოწყალების ბოძების, განსაცდელის თავიდან აცილებისა და სხვა მოვლენათა ხსენების დღეებს.

ეკლესიამ ძველთაგანვე დააწესა ყოველთა წმიდათა დღესასწაული, რომელიც სულთმოფენობიდან პირველ კვირას აღინიშნება. ამის შესახებ ცნობებს იოანე ოქროპირის საუბრებში ვხვდებით. დასავლეთში ეს ზეიმი VII საუკუნეში დააწესა პაპმა ბონიფაციუსმა. მან იმპერატორ ფოკასგან (602-610 წწ.) საჩუქრად მიიღო პანთეონი – წარმართთა ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი, რომელიც შემდგომ აკურთხა ღვთისმშობლისა და ყოველთა წმინდათა ტაძრად. IX საუკუნეში კონსტანტინოპოლში ყოველთა წმინდათა სახელობის ტაძარი ააგო იმპერატორმა ლეონ ბრძენმა.

აღმოსავლეთში IV საუკუნიდან გავრცელდა ამბავი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ, რომელიც ედესაში ინახებოდა. ეს ხატი თავად ქრისტემ აჩუქა ედესის მთავარს – ავგაროსს. რასაკვირველია, მან მრავალი მომლოცველი მიიზიდა ამ ქალაქში; X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორებმა: კონსტანტინე პორფიროგენეტმა და რომანოზ

ლაკაპენოსმა ეს ხატი ედესის მმართველებისგან იყიდეს, სანაცვლოდ გაუგზავნეს 200 ტყვე სარკინოზი, 12000 ვერცხლის მონეტა და ალუთქვეს, არასდროს დასხმოდნენ თავს ედესას. 16 აგვისტოს ხატი საზეიმოდ დააბრძანეს კონსტანტინოპოლში, წმინდა სოფიას ტაძარში. ამ დროიდან ხელთუქმნელი ხატის ხსენების დღე ყოველწლიურ დღესასწაულად იქცა.

ამავე საუკუნის დასაწყისში დადგინდა ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული. ლეონ ბრძენის მმართველობის დროს, როდესაც ბიზანტიას სარკინოზები ემუქრებოდნენ, ერთმა წმინდა მამამ, ანდრია სალოსმა, ღვთისმშობლის სახელობის ვლახერნის ტაძარში ლოცვის დროს მზერა აღაპყრო და იხილა ანგელოზთა და წმინდანთა დასებით გარსშემორტყმული ღვთისმშობელი, რომელიც ლოცულობდა და ბოლოს თავისი საფარველი გადააფარა ქრისტიანებს. ამ საოცარი გამოცხადების შესახებ ანდრიამ უამბო თავის მოწაფე ეპიფანეს და ამის შემდეგ მალევე დაწესდა ღვთისმშობლის მეოხების ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 1 ოქტომბერს, ანუ ხილვის დღეს.

კონსტანტინოპოლში, რომელიც მისმა დამაარსებელმა ყოვლადწმიდა ქალწულს მიუძღვნა, ღვთისმშობლის სახელზე აშენებული მრავალი ეკლესია არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვლახერნის ყურესთან მდებარე ოდიგიტრიის ტაძარი, რომელიც V საუკუნეში ააგო დედოფალმა პულხერიამ. ყოვლადწმიდა ქალწულისა და წმინდანთა თაყვანისმცემელნი, ბუნებრივია კრძალვით ეპყრობოდნენ მათ ნივთებსაც; ამ მიზნით დაწესდა კონსტანტინოპოლში (VI-VII სს.) ღვთისმშობლის კვართისა და სარტყელის სასწაულებრივი პოვნის დღის საზეიმოდ აღნიშნვა. ქრისტიანები განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ლუკა მახარებლის მიერ დაწერილ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატებს, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია ოდიგიტრია ანუ „გზის მაჩვენებელი“. იგი ესვენა დედოფალ პულხერიას ბრძანებით აგებულ ტაძარში. ყოვლადწმიდა ქალწულის უამრავ სასწაულმოქმედ გამოსახულებათაგან განსაკუთრებით ცნობილი იყო ლიდის (ანუ რომის), ეფესოს, მიასინის, იერუსალიმის, ფილერმის ღვთისმშობლის ხატები.

წმინდანთა მოხსენიების დღეები შეძლებისამებრ შემდეგი თანმიმდევრობით ნაწილდებოდა: ქრისტესშობის დღესასწაულამდე იხსენიებდნენ ძველი აღთქმის პატრიარქებსა და წინასწარმეტყველებს, რომლებიც სამყაროს აუწყებდნენ მაცხოვრის მოვლინების შესახებ. ქრისტესშობის შემდეგ – პირველმოწამე სტეფანეს, როგორც ქრისტესთვის პირველ მარტვილს და უდანაშაულოდ გაჟლეტილ ჩვილებს. სულთმოფენობიდან იწყებოდა მოციქულთა, სახარების

მქადაგებელთა, მოწაფეთა, აღმსარებელთა და ქალწულთადმი პატივის მიგების დღეები.

იგივე აზრი – ყოველი დღე იკურთხოს წმინდა მოხსენიებით – კარგად ჩანს კვირის დღეების ღვთისმსახურებაში. კვირას ეკლესია აღიდებს უფლის აღდგომას; ორშაბათს იხსენიებს წმიდა ანგელოზებს; სამშაბათს – წინასწარმეტყველთა შორის უდიდესს, იოანე ნათლისმცემელს; ოთხშაბათს – უფლის გაცემას და ჯვარცმას; ხუთშაბათს – წმინდა მოციქულებსა და მათ ღირსეულ მემკვიდრეებს, რომლებმაც მთელ დედამიწას მოჰფინეს ქრისტეს სწავლება, ამავე დღეს იხსენიება წმიდა მღვდელთმთავარი ნიკოლოზი; პარასკევს – უფლის ჯვარცმას; შაბათი – ყოველთა წმიდათა და მარადიული ცხოვრების სასოებით აღსრულებულ მიცვალებულთა მოხსენიების დღეა; ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სადიდებელ-სავედრებელი ლოცვები ეკლესიაში კვირის ყოველ დღეს იკითხება.

ამრიგად, მთელი შვიდეულის მსახურებანი მორწმუნეს განამზადებს, რათა საზეიმო განწყობით შეხვდეს კვირადღეს, რომელიც ეძღვნება ქრისტეს აღდგომით სიკვდილზე გამარჯვებასა და კაცთა მოდგმის გადარჩენას.

პირველი საუკუნიდანვე არსებობს ცნობები, რომ ქრისტიანები მარხულობდნენ ოთხშაბათსა და პარასკევს, რითაც ქრისტეს გაცემას, ვნებასა და სიკვდილს იხსენიებდნენ.

I-IV საუკუნეებში დაწესდა ქრისტესშობის, მოციქულთა თავთა (პეტრე-პავლობის) და ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულების წინმსწრები მარხვები. პატიოსანი ჯვრის თაყვანისცემა დიდმარხვის III კვირას, სავარაუდოდ, VIII საუკუნეში დადგინდა, ხოლო წმინდა თეოდორე სტუდიელმა შეადგინა ჯვრის თაყვანისცემის კვირის მსახურება.

ისტორიულად, დიდი და მდიდრული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ძირითადად IV საუკუნიდან დაიწყო. ადრე ქრისტიანები სალოცავად იკრიბებოდნენ სახლებში, სადაც ერთი ოთახი იკურთხებოდა ღვთისმსახურებისთვის, ან მოწამეთა აკლდამებთან კატაკომბებში – ერთი სიტყვით, სადაც ამ ფარული თავშეყრის შესაძლებლობა მიეცემოდათ. დევნისგან თავისუფალ პერიოდებში ზოგჯერ შენდებოდა ტაძრები, მაგრამ ძალიან ცოტა და მათაც დევნის დროს ანგრევდნენ. ასე მოხდა ნიკომიდიასი დიოკლეტიანეს დროს.

როდესაც იმპერატორი კონსტანტინე დარწმუნდა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, იზრუნა, რათა პალესტინაში და აღმოსავლეთის ყველა ოლქში, რომსა და ახალ დედაქალაქში აეგოთ ბრწყინვალე ქრისტიანული ტაძრები. ზოგჯერ, თუმცა იშვიათად,

წარმართული ტაძრის გადაკეთებაც ხდებოდა ქრისტიანულ ეკლესიად; მაგრამ ნაგებობები, სადაც სალოცავ კერპებს დგამდნენ, სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის, მათი შიდა სივრცის სივიწროვის გამო. წარმართულ რიტუალებს საერთოდ არ ახლდა საკითხავები და შეგონებანი, ამდენად საჭიროც არ იყო მსმენელების ყოფნა ფართო, გადახურულ ნაგებობაში და ყველა მსახურება შენობის გარეთ აღესრულებოდა. ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს შესანიშნავად პასუხობდა ძველი ბაზილიკა. ეს იყო საჯარო, სავაჭრო ან სასამართლო დარბაზი, მოგრძო ოთხკუთხა, რომელსაც სვეტების ორი სიგრძივი რიგი სამ ნაწილად ყოფდა, თანაც სვეტებს შუა სივრცე ორჯერ განიერი იყო, ვიდრე გვერდით სვეტსა და კედელს შორის. ამიტომ რომის ზოგიერთი ბაზილიკა ქრისტიანულ ტაძრად გადაკეთდა; ბევრიც აიგო ბაზილიკის სტილით, ოღონდ ერთი განსხვავებით – მათი გვერდითი მხარეები (ნავეები) ცენტრალურ ნავზე დაბალი და ვიწრო იყო. შუა, გრძელი ნავის აღმოსავლეთ ნაწილში, ამალღებულ ადგილას, მოწყობილი იყო საკურთხეველი ერთი ტრაპეზით. დანარჩენი სივრცისგან საკურთხეველს ცხაური ან ფარდა ყოფდა.

რომი ცნობილია გადაკეთებული ბაზილიკებით ან ამავე სტილით აგებული უძველესი ქრისტიანული ტაძრებით: წმინდა იოანეს სახელობის ლატერანის ბაზილიკა, რომელიც რომის ეპისკოპოსს იმპერატორმა კონსტანტინემ აჩუქა; წმინდა პეტრეს სახელობის ვატიკანის ბაზილიკა, რომელიც კონსტანტინემ ააგებინა ვატიკანის მთაზე. გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას მოწამებრივად აღესრულა პეტრე მოციქული. ქრისტიანული ტაძრის კედლები დაშენებული იყო ნერონის დროინდელი ცირკის ნანგრევებზე, სადაც უამრავი ქრისტიანი დაიხოცა. ეს ბაზილიკა XIV საუკუნემდე იდგა, მოგვიანებით კი მის ადგილზე აიგო წმინდა პეტრეს ახალი ტაძარი.

აკვილეა და რავენა ბევრი მდიდრული ქრისტიანული ტაძრით იყო განთქმული. კონსტანტინოპოლში იდგა წმინდა სოფიას (სიბრძნე ღვთისა) უბრწყინვალესი ტაძარი, რომელიც კონსტანტინეს დროს აიგო და მნიშვნელოვნად გაფართოვდა კონსტანციუსის მმართველობის პერიოდში. მას შემდეგ, რაც ნაგებობა მთლიანად გაანადგურა ხანძარმა, იუსტინიანემ მის ადგილას ააშენა ახალი, დედაქალაქში ყველაზე დიდი და ბრწყინვალე ტაძარი.

თავდაპირველად ეკლესიებთან აშენებდნენ სპეციალურ სანათლავეებს. ამ მრგვალი ფორმის შენობის ცენტრში მოწყობილი იყო აუზი, გარს შემორიგებული სვეტების მწკრივით, რომელთა შორისაც ფარდები ეკიდა. შემდგომში, როდესაც ყრმათა მონათვლის ტრადიცია

ყველგან გავრცელდა, ცალკე აშენებული სანათლავეები შეცვალა ემბაზმა, რომელიც ტაძარში იდგა.

დიდ ტაძრებთან ზოგჯერ აშენებდნენ ნაგებობას საეკლესიო ნივთების, შესამოსელის შესანახად, და თითქმის ყოველთვის – ბიბლიოთეკას... გარდა ამისა, არსებობდა სახლები მღვდელმსახურთათვის, თავშესაფრები ობლებისა და მოხუცთათვის, სკოლები, მგზავრთა ღამისსათევები... ეკლესიის ეზოში ხშირად სასაფლაოც იყო. თავად ეზოსა და შენობებს ქვის გალავანი ერტყა.

პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანობა იდევნებოდა, ღვთისმსახურებაზე მიწვევა, სავარაუდოდ, ხდებოდა დამახებით, განსაკუთრებული მაცნეების საშუალებით. IV საუკუნიდან მორწმუნეებს უხმობდნენ ხის ან ლითონის ძელზე დარტყმით გამოცემული ხმებით. ზუსტად არ არის ცნობილი, როდიდან დაიწყო ზარების გამოყენება საამისოდ. სავარაუდოდ, პირველად ისინი გამოიგონეს VI საუკუნეში დასავლეთში, მათი ფართოდ გამოყენება კი ეკლესიამ VIII საუკუნიდან შემოიღო. ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთში ღვთისმსახურებაზე ზარების საშუალებით მრევლის მოხმობის ტრადიცია დამკვიდრდა არა უადრეს IX საუკუნისა. მაშინ დაიწყეს ტაძრებთან სამრეკლოების მშენებლობაც.

ტრაპეზს აკეთებდნენ გათლილი ქვისგან და ფარავდნენ ოქრო-ვერცხლის ჭედურობით. სამოგზაუროდ, ლაშქრობაში ან რაიმე მისიით მიმავალთ თან მიჰქონდათ ნაკურთხი ქვის ფილები (დასავლეთში) ან ანტიმინსი (აღმოსავლეთში. იგივე ოდიკი – ტრაპეზზე გადასაფარებელი ქსოვილი, რომელშიც ჩაკერებული იყო წმინდა ნაწილები და მას ეპისკოპოსი აკურთხებდა).

უკვე ვისაუბრეთ პირველი საუკუნეების ფერწერაზე. გავეცანით მაშინდელ მოზაიკურ ხელოვნებას, რომლის გამოყენებაც დაიწყეს ახალი მდიდრული ქრისტიანული ტაძრების მოსართავად. ნაგებობის კედლებს ძველი და ახალი აღთქმისეული მოვლენების ამსახველი გამოსახულებებით ამშვენებდნენ. ტაძრის წინა ნაწილში კი ქრისტეს, ღვთისმშობლისა და ახალი აღთქმის წმინდანების ხატები იყო დასვენებული.

აღმოსავლეთში დღევანდლამდე შემორჩა გალობა მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე; დასავლეთში IX საუკუნიდან დაიწყეს ორღანის გამოყენება.

ადრე გავრცელდა მიცვალებულთათვის ფსალმუნთა კითხვის ჩვეულება. იმპერატორმა იუსტინიანემ ცალკე საცხოვრებელიც კი მიუჩინა მონაზონ დედებს, რომელთა მოვალეობაც მიცვალებულთათვის ფსალმუნთა წიგნის კითხვა იყო. საერთოდ, მიცვალებულთა დასაფლავების ყველა ის ჩვეულება, რასაც დღეს მივმართავთ, უძველესი

დროიდან მოდის. პანაშვიდის დროს სანთლების ანთების წესს თავიანთ ნაწერებში ახსენებენ ათანასე დიდი, იოანე ოქროპირი და სხვა მამები. ეს აღნიშნავდა ამ ბოზოქარი წუთისოფლიდან მარადიულ განსვენებაში გადასვლის სიხარულს, სიმშვიდესა და ბრძოლაში გამარჯვებულის ზეიმს.

კოლიოს (თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი) გამოყენებას თავისი მნიშვნელობა აქვს. მარცვლიდან ახალი სიცოცხლის აღმოცენება ჩვენი სხეულების აღდგომის სიმბოლოა (1 კორ. 15, 37-38).

მოციქულთა კანონებიდან ჩანს, რომ მიცვალებულს ძველთაგანვე იხსენიებენ აღსრულებიდან მესამე დღეს – ქრისტეს აღდგომის გასახსენებლად; მეცხრე დღეს – ანგელოზთა ცხრა დასის პატივსაცემად, რათა მათ მიცვალებულის სული მიეღოთ ნეტარ სამყაროში, და მეორმოცე დღეს – ისრაიტელთა მიბადვით, რომლებიც მოსეს ორმოც დღეს იგლოვდნენ, და აგრეთვე უფლის ამალების მოსაგონებლად. წლისთავი უკვე უშუალოდ მიცვალებულის ხსოვნას ეძღვნებოდა.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე უმთავრეს ტრადიციასა და ჩვეულებას შევხებით, რომლებიც ეკლესიაში დამკვიდრდნენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, და მივუთითეთ, თუ საიდან იღებენ ისინი სათავეს.

წიგნის რედაქტირებისას გამოყენებულია:

Все монархи мира: Греция, Рим, Византия / Сост. К. РЫЖОВ.-- М., 1999.

Все монархи мира: Западная Европа / Сост. К. РЫЖОВ.-- М., 2001.

Протоерей Вячеслав Тулупов, Духом пламенеете: История апостольского века.-- М., 2001.

Тальберг Н., История Христианской Церкви.-- М., 2000.

Всемирная история, т. 3.-- М., 1957.